პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 8 აპრილი 1937 წ. № 80 (4881)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

მასებთან კავშირი, ამ
იმისთვის, რომ ყური დაუგ
შევიკური ხელმძღვანელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტორგანოების არჩევნები

ყველა პარტიული ორგანიზაცია, მთელი პარტიული მასა მძლავრად ამოძრავა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ბელადის — დიდი სტალინის გენიოსურმა მოხსენებამ და საბოლოო სიტყვამ ამ პლენუმზე.

ჩვენი პარტიის მშენებლობისა და ცხოვრების ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს ეცნობიან და გულმოდგინედ სწავლობენ არა მარტო პარტიული, არამედ უპარტიო ბოლშევიკებიც, სოციალიზმის ქვეყნის აქტიური მშენებელნი, თვითეული მუშაკი. არა მარტო სწავლობენ, არამედ ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტების თვალსაზრისით აკრიტიკებენ განვლილ მუშაობას, აშკარავებენ დაშვებულ შეცდომებს და სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობის წარმატებით გასაშლელად.

პარტიული აქტივისა და პარტორგანიზაციების კრებებმა, რომლებიც ჩატარდა საქართველოში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა დასამუშავებლად, გვიჩვენა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება. ამ კრებებზე გამოსული კომუნისტები შეუპოვრად აკრიტიკებდნენ არსებულ ნაკლოვანებებს, შემოჰქონდათ საქმიანი წინადადებები. მაგრამ მიღწეულით როდი შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

არის პარტიული ორგანიზაციები, სადაც ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა ჯერ კიდევ არ გაშლილა გაბედულად; არის ზოგიერთი უვარგისი გაბიუროკრატებული ხელმძღვანელნი, რომელიც კრიტიკას გვერდს უვლის, ხოლო ზოგი კომუნისტი, რომელიც „ფიქრობს", რომ თვითკრიტიკა და კრიტიკა — ეს სადღეისო ლოზუნგია, — კრიტიკას ადვილად „ეგუება" იმისათვის, რომ ნაკლოვანებათა გარეგნულად აღიარებით ნამდვილად უარყოს ისინი, არ გაუწიოს ანგარიში თვითკრიტიკას, ყველაფერი უცვლელად დატოვოს.

განა საჭიროა ახლა იმის მტკიცება, რომ ამ მავნე და ყალბ გაგებას საერთო არაფერი აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ლენინ-სტალინის პარტიის ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაგებასთან, თვითკრიტიკისა, რომელიც პარტიული მოქმედების საფუძველია.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება პარტიული ორგანიზაციების წინაშე და არჩევნები უდიდესი პოლიტიკური ამოცანაა, რომელიც დასმულია ჩვენს წინაშე. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის წერილში საქ. კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციისადმი „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ" ნათელი მითითებანი მოგვცა, რომლებიც ზუსტად უნდა დავიცვათ. მაგრამ ამ მხრივ ყველგან ყველაფერი რიგზე როდია.

თბილისის ორგანიზაციის რაიონების მრავალ პირველად პარტორგანიზაციათა საანგარიშო - საარჩევნო კრებებმა ცენტრალური კომიტეტის მითითებათა მტკიცედ დაცვითა და კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩაიარა, მაგრამ არის ფაქტები, რომ ზოგან ეს მითითებები დაირღვა, არის იმის ფაქტებიც, რომ ზოგან მოუმზადებლად შეხვდნენ არჩევნებს, და პარტორგანოების ხელმძღვანელებმა არ გააკეთეს ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო ანგარიშგება - არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

თბილისის გამოცდილების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციაში, საკმაოდ საფუძვლიანად, ყოველმხრივ არ არის განმარტებული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ, რის გამო არჩევნებს მოუმზადებლად შეხვდნენ.

მაშ რით უნდა აიხსნას, თუ არა ზღნიშნული მიზეზით, ის ფაქტი, რომ სამტრესტის № 2 ღვინის ქარხნის პარტორგანიზაციაში (ლენინის რაიონი), ნაცვლად თვითკრიტიკის გაშლისა, პარტკომის მდივანმა თავისი მუშაობის შექებით დაიწყო ანგარიში, ხოლო კრებაზე დამსწრე კომუნისტებმა კრიტიკის გაბედულად გაშლის ნაცვლად, ხოტბა შეასხეს მას.

მაგრამ პარტორგანოების არჩევნების მიმდინარეობას სხვა ნაკლოვანებებიც ახლავს. ზოგიერთ რაიკომს მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის რაიკომს (თბილისი), დღემდე არ ქონდა დაზუსტებული არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა.

კიროვის რაიონში, მაგალითად, ბამბის სართავ ფაბრიკაში არ იყო უზრუნველყოფილი კენჭსაყრელი სიების დროზე დაბეჭდვა, რაც ტექნიკური მოუმზადებლობით იყო გამოწვეული.

სტალინის რაიკომმა ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციას არჩევნების ჩასატარებლად მიამაგრა ისეთი ამხანაგები, რომელნიც საკმაოდ ინსტრუქტირებული არ იყვნენ.

ზოგან საანგარიშო - საარჩევნო კრება ძალიან ჭიანურდება, როგორც, მაგალითად, სავაგონო დეპოში, ხოლო ზოგან კრიტიკა და თვითკრიტიკა მიიმართება უმთავრესად საწარმოო - ადმინისტრატიულ საკითხებზე, პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის საკითხები კი იჩრდილება.

არის ისეთი ფაქტებიც, რომ საკმაო გაბედულებით არ ხდება ამა თუ იმ კანდიდატურის აცილება, როდესაც არის სათანადო საბუთები; ბევრგან არ არის უზრუნველყოფილი საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მთლიანი დასწრება.

ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ პარტრაიკომებმა და პირველადი ორგანიზაციების პარტკომებმა ვერ უზრუნველჰყვეს საჭირო ოპერატიული ხელმძღვანელობა, ვერ გაითვალისწინეს ყველა აუცილებელი „წვრილმანი" და ზოგიერთ შემთხვევაში თვითდინებას დაეყრდნენ. ეს ნაკლოვანებები და შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

პარტორგანოების მიმდინარე არჩევნები ახლებურად სწარმოებს. სტალინური კონსტიტუციის მიღებით გამოწვეული მობრუნება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თვითეულ კომუნისტს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. მიმდინარე არჩევნები უნდა ჩავატაროთ გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით და შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ დაცვით. მთელი ეს მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ გადაჭრით, საფუძვლიანად გარდავქმნათ პარტიული მუშაობა, ავიყვანოთ ის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე, უფრო გავაძლიეროთ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე და პარტიული მასების აქტივობა.

მხედველობიდან ოდნავაც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ პარტორგანოებში უნდა ავირჩიოთ ყველაზე მტკიცე, ყველაზე ერთგული და საქმიანი ამხანაგები, რომელნიც ნამდვილად უზრუნველჰყოფენ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების ბოლშევიკურად განხორციელებას.

„ეს იმას ნიშნავს, — როგორც ამას დიდი სტალინი გვასწავლის, — რომ შევარჩიოთ მუშაკები, ჯერ ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსადეგი არიან თუ არა ისინი ამადაამ კონკრეტული მუშაობისათვის".

პარტორგანოების არჩევნებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ეს უდიდესი მნიშვნელობის პარტიული საქმეა. და იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ჩვენს წინაშე დასმული ახალი ამოცანები, საჭიროა გაბედულად, ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაუნდობლად ვამხილოთ ნაკლოვანებანი და პარტიულ ორგანოებში ავირჩიოთ ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგული, საქმიანი, უნარიანი ამხანაგები.

დადგენილება
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი
სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი კარტოფილის ჩაბარების ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დატოვებულ იქნას 1937 წლისათვის—1936 წელში მოქმედი—სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი კარტოფილის ჩაბარების შემდეგი ნორმები:

(ცენტნერებში ჰექტარიდან)

რაიონები	კოლმეურნ. რომელთაც მომსახურებას უწევენ მანქ.-სატ. სადგურები	კოლმეურნ. რომელთაც არ უწევენ მომსახურებას მანქ.-სატ. სადგურები	კოლმეურნეებისათვის	ერთპიროვნულ მეურნეობათათვის
ახალციხის და ალბულაღის რაიონები	8	10	14	16
ხაშურის, ბორჯომის, ლუქსემბურგის, წალკის, ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, რაიონები	6	7	9	10,65
ადიგენის, ასპინძის, თიანეთის, საგარეჯოს რაიონები და აჭარის ასსრ	4	5	7	8,5
ონის რაიონი	—	5	7	7,5

2. დაევალოს აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში, ამ დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილი რაიონების რაიაღმასკომებსა და რაიონულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს შეუდგნენ კარტოფილის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართვ. თ. ა. ხ. მეზუკე

1937 წ. აპრილის 4,
თბილისი

ესპანეთის ფრონტებზე
სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს დეპეშებიდან

ცენტრალურ ფრონტზე მთავრობის ათმა თვითმფრინავმა დაბლა ფრენის დროს ტყვიამფრქვევები დაუშინა მეამბოხეთა ჯარებს გოსკეს დე აბახოს რაიონში. მოწინააღმდეგის საზენიტო ზარბაზნები უშედეგოდ ცდილობდნენ ჩამოეგდოთ რესპუბლიკელთა თვითმფრინავები. ბრუნეტეში 36 ყუმბარა გადმოჰყარეს.

კორუნიის გზის რაიონში მეამბოხეებმა დაიწყეს შეტევა იმ მიზნით, რომ დაებრუნებინათ ის ტერიტორია, რომელიც რესპუბლიკელთა უკანასკნელი წინსვლის შედეგად დაჰკარგეს. მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულ იქნა. მეამბოხეებმა უწესრიგოდ დაიხიეს. რესპუბლიკელებმა წინ წაიწიეს 2 კილომეტრით.

კარაბანჩელის რაიონში რესპუბლიკელებმა დაიკავეს 200 სახლი.

არაგონის ფრონტზე მთავრობის თვითმფრინავთა ესკადრილია წარმატებით უშენდა ყუმბარებს მოწინააღმდეგის სატვირთო მანქანების კოლონებს ეგეა დე ლოს კაბალიეროსისა და ტაუსტეს შუა მდებარე გზაზე. მეორე ესკადრილიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები რკინიგზის სადგურს ტერუელში. ყველა თვითმფრინავი უვნებლად დაბრუნდა.

კორდოვის ფრონტზე რესპუბლიკელები მიუახლოვდნენ პენიაროიას 10 კილომეტრზე ნაკლები მანძილით. რესპუბლიკელთა მიერ დაკავებული სოფელი გრანხუელა—უკანასკნელი სადგურია პენიაროიას წინ, ალმორჩონ-კორდოვის რკინიგზაზე. რესპუბლიკელები უახლოვდებიან საზღვარს კორდოვისა და ბადახოსის პროვინციებს შორის. რესპუბლიკელთა წინსვლა ემუქრება მეამბოხეთა საკომუნიკაციო ხაზებს ანდალუზიასა და ესტრემადურს შორის.

ბისკაის ფრონტზე, ოჩანდიანოს რაიონში, ვილარეალის ჩრდილოეთით, გრძელდებოდა მოწინააღმდეგის მოწოლა. ფაშისტთა ყველა იერიში მოგერიებულია.

მეამბოხეთა ყალბ ინფორმაციას შეცდომაში შეჰყავს მათი მომხრენი. ამან საშუალება მისცა რესპუბლიკელებს ტყვედ ჩაეგდოთ ოთხი გერმანელი ოფიცერი—ვიტორიის აეროდრომის ინსპექტორი კაპიტანი კაისტენ ფონ ხადეინგი, მფრინავი—კაპიტანი, ლეიტენანტი და თარჯიმანი. ეს ოფიცრები, რომლებმაც მეამბოხეთა ყალბ რადიოცნობებს დაუჯერეს, ურკილში (ოჩანდიანოს მახლობლად) მიდიოდნენ, მათ ეგონათ, რომ ეს პუნქტი მეამბოხეთა ხელშია. გერმანელ ოფიცრებს უპოვნეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

სანტანდერის ფრონტზე, სარხენტესის რაიონში, ბურგოსიდან ჩრდილოეთით 42 კილომეტრის მანძილზე, მეამბოხენი ცდილობდნენ კონტრშეტევაზე გადასვლას, მაგრამ უკუგდებულ იქნენ.

მეამბოხეთა სამხედრო გემები „ველასკო" და „ესპანია" განაგრძობენ ასტურიის სანაპიროების ბომბარდირებას.

ესტრემადურის პროვინციაში 2 აპრილს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს მთავრობის ჯარების პოსტებზე სიერა დე იერდეში. მეამბოხეთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მედელინის სარკინიგზო სადგურს.

პოხეთა ოთხმა ათასეულმა და

ესკადრონმა დაიწყეს შეტევა

ნიოუს გზაზე, ვილანუევა დე ლა

რენას სამხრეთ-დასავლეთით. ეს

რიში მოიგერიეს რესპუბლიკელებ

რომლებმაც მოწინააღმდეგეს დია

ზარალი მიაყენეს. მეამბოხეთა 4 ა

სი კაცისაგან შემდგარმა მეორე რა

მმა იერიში მიიტანა რესპუბლიკე

თა პოზიციებზე ვილარ დე ფე

რაიონში. მეამბოხეთა მიზანი

ხელთ ეგდოთ ქალაქი ვილანუევა

ლა სერენა (ბადახოსის აღმოსავლ

თით 96 კილომეტრის მანძილზე).

ამბოხენი უკუქცეულ იქნენ.

ქალაქ ხერონის (კატალონია)

დამოებში ფაშისტურმა თვითმფრ

ნავებმა გადმოჰყარეს ას-ას კი

გრამიანი 12 ყუმბარა. მსუბუქად

იჭრა ერთი კაცი.

კატალონიის სანაპიროს სხვადა

სხვა პუნქტზე მოწინააღმდეგ

ორი თვითმფრინავის თავდასხმის

დეგად 4 აპრილს დაიჭრა 7 კაცი.

რესპუბლიკელთა თვითმფრინავებ

მა ყუმბარები დაუშინეს ალჟესირას

გიბრალტარის აღმოსავლეთით.

5 აპრილს ღამით მთავრობის სა

კადრო ნაღმოსანთა ფლოტილია

მცირე მანძილიდან ყუმბარები დაუ

შინა სანავსადგურო სიმაგრეებს სე

ტაში (ესპანეთის მაროკო). გემები

დან შეამჩნიეს, რომ სიმაგრეებში

ძლიერი აფეთქებანი მოხდა. სეუტის

გზაზე რესპუბლიკელთა ფლოტ

ლიას შეხვდა გერმანიის კრეისერ

„ლაიპციგი", რომელიც მას დაედევნა.

რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოსული ფაშისტები გიბრალტარში

ლონდონი, 6 აპრილი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გიბრალტარში მოდიან დიდძალი გამოქცეულები ესპანეთის მეამბოხეთა ბანაკიდან. გუშინ გიბრალტარში პატარა ნავებით ალჟესირასიდან მოვიდა 11 მეამბოხე, მათ შორის ფლოტის ერთი ლეიტენანტი. ლეიტენანტმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ბევრი მეზღვაური, რომელიც მეამბოხეებთან მსახურებს სან-ფერნანდოსა და კადიქსში, მზად არის გამოსაქცევად.

ფრანგი ფაშისტების კონტაქტი ესპანელ მეამბოხეებთან

პარიზი, 6 აპრილი (საქდესი). „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დორმუამ დაიწყო ესპანეთის საზღვარზე მომხდარი ზოგიერთი „საეჭვო მოქმედების" გამოძიება. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინათ სიგნალებს იძლეოდა „ლუმანიტე". დღეს „ლუმანიტე" მინისტრს აცნობებს, რომ მთელი რიგი თვეების განმავლობაში ხდება საეჭვო მგზავრობანი ქალაქ მოლეონით ესპანეთის მეამბოხეთა მიერ დაკავებული ტერიტორიის მიმართულებით. ასე, მაგალითად, მოლეონს გაემგზავრა საფრანგეთის ფაშისტების ხელმძღვანელი პოლკოვნიკი დე ლა როკი ესპანეთის მეამბოხეებთან კავშირის დასამყარებლად. ქალაქ ბაიონის რაიონში იეზუიტთა ორგანიზაცია „სოლარ ესპანიოლი" წარმოადგენს ფაშისტ მეამბოხეთა შპიონაჟისა და მომარაგების ცენტრს.

დასასრულ, „ლუმანიტე" მწვავედ ილაშქრებს საფრანგეთის ელჩის ესპანეთში ერბეტის მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც 18 ივლისიდან იმყოფება არა ესპანეთში, არამედ სენ ჟან დელუსში (საფრანგეთ - ესპანეთის საზღვარზე). გაზეთის სიტყვით, სცხოვრობს რა საფრანგეთის ტერიტორიაზე, ერბეტი „დაუმსახურებლად ატარებს ელჩის ტიტულს".

ფაშისტური შეთქმულების აღმოჩენა მადრიდში

პარიზი, 6 აპრილი (საქდესი). მადრიდში აღმოაჩინეს ფაშისტთ შეთქმულება მთავრობის წინააღ დეგ. შეთქმულების ხელმძღვანელ დააპატიმრეს. ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს იარაღისა და ყუმბარებ დიდი საწყობები, აგრეთვე დოკუ მენტები, რომლებმაც საშუალებ მისცეს ხელისუფლებას დააპატიმრე შინა შეთქმულების მრავალი თანამონაწილე.

ფაშისტთა შეთქმულების აღმოჩენის გამო მადრიდში

მადრიდი, 6 აპრილი (საქდესი). ფაშისტთა შეთქმულების აღმოჩენის გამო მადრიდში, ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა მთელი რიგი ვაჭრები ცენტრალურ ბაზარში. ამ ჯგუფს მადრიდში ჰქონდა კონსპირატიული ბინები და იარაღისა და ყუმბარების მარაგი. ამ ფაშისტთა ჯგუფის დაპატიმრებულ მეთაურს— რუის გონსალესს—გაჩხრეკის დროს უნახეს შრომის ანარქო-სინდიკალისტური ნაციონალური კონფედერაციის საწევრო ბილეთი, რომელსაც იგი ეფარებოდა, აგრეთვე იარაღის ტარების ნებართვა. რუის გონსალესი, რომელიც თევზის ვაჭარია, მართავდა აგრეთვე იმ სასტუმროს, სადაც იკრიბებოდნენ ფაშისტები, „ესპანეთის ფალანგის" წევრები.

მადრიდის გაზეთები აღნიშნავენ, რომ შეთქმულებმა თავიანთი საქმიანობა გააცხოველეს მალაგის დაცემის მომენტიდან. სულ დაპატიმრებულია 8 კაცი, მათ შორის სახალხო არმიის ერთი ლეიტენანტი. დაპატიმრებულთა შორის არის ერთი სევილიელი ფაშისტი მფრინავის მამა.

პოლიციამ იპოვნა შიფრი, რომლითაც ფაშისტები სარგებლობდნენ.

მაციდას საარჩევნო სიტყვა

ტოკიო, 6 აპრილი (საქდესი). მინსეიტოს პარტიის კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილია მომავალი საპარლამენტო არჩევნებისადმი, პარტიის ლიდერმა მაციდამ ბრალად დასდო მთავრობას ქვედა-პალატის არაკონსტიტუციური გზით დათხოვნა და ის, რომ მთავრობა ცდილობს „თავზე მოახვიოს ქვეყანას წინასწარ აკვიატებული ეგოცენტრული იდეები". მაციდას სიტყვის ლეიტმოტივი იყო ის, რომ საჭიროა ბრძოლა იმისათვის, რათა დავიცვათ კონსტიტუცია ყოველგვარი თავდასხმისაგან.

მინსეიტოს პარტიის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მაციდას გამოსვლის შესაბამისად გადასწყვიტა, რომ არჩევნებში პარტიის ძირითადი ამოცანა და მთავარი ლოზუნგი უნდა იყოს „ჰაიასის მთავრობის" დამხობა იმ მიზნით, რათა აღკვეთოს „მისი ბიუროკრატული და ეგოცენტრული პოლიტიკა".

გაზეთი „ხოცი" აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მინსეიტო პირველად გამოდის მთავრობის საწინააღმდეგო აშკარა პლატფორმით.

სეიუკაელ ხამადას შემდეგ ჰაიასის მიერ გუბერნატორთა კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა მკაცრად გააკრიტიკეს პრესაში მინსეიტოს და სიაკაი ტაისიუტოს პარტიების წარმომადგენლებმა.

სიაკაი ტაისიუტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ საჭიროა ბოლომდე ბრძოლა მთავრობის ფაშისტურ ტენდენციებთან.

საბჭოთა კავშირში

მთავრდება „მოსკოვის ზღვის" გავსება

დმიტროვი, 5 აპრილი (საქდესი). დღეს მთავრდება „მოსკოვის ზღვის" გავსება. ეს არის მოსკოვ-ვოლგის არხის ყველაზე დიდი წყალსაცავი, რომლის ფსკერიდანაც საჭირო გახდა 100-ზე მეტი სოფლის გადატანა სხვა რაიონებში. პირველი რაბიდან, რომელიც აგებულია ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, წყლის გასაშვებად ცოტათი გაღებულ საავარიო ჭიშკრამდე, არხის სიღრმე აღწევს 6,2 მეტრს. საავარიო ჭიშკრებს იქეთ გამოჩნდა პირველი ნავები.

უბანზე მეორე რაბიდან № 103 გადამღობ ჭიშკრამდე, რომელიც დმიტროვის მახლობლად მდებარეობს 26,9 კილომეტრის მანძილზე, მთავრდება მოპირკეთებისა და მიწის სამუშაოები.

მშენებლები სასწრაფოდ ემზადებიან წყლის მისაღებად. წყალქვეშ უკვე არის არხი 16,8 კილომეტრის მანძილზე № 103 გადამღობავ ჭიშკარსა და მესამე რაბს შუა, რომელიც აგებულია საველოვსკის რკინიგზის ხაზის იახრომის სადგურის მახლობლად.

მდინარე თახრომის, სკოროდაიკისა და პიავიცის გაზაფხულის წყლებმა აავსეს წყლის მაგისტრალის ფსკერი 3-დან 5 რაბამდე იახრომა-იკშის უბანზე (11,5 კილომეტრი). სწარმოებს მიწის უკანასკნელი სამუშაოები ტრასზე 5 და 6 რაბებს შუა, რომლებიც მდებარეობენ იკშის სადგურის მახლობლად. მე-6 რაბის იქით იწყება არხის წყალგამყოფი, სადაც დიდ მანძილზე მდებარეობს სანაოსნო წყალსაცავები, რომლებიც შექმნილია ჯერ კიდევ შარშან მდინარე იკშის, უჩის, ვიაზის, კლიაზმისა და ხიმკის წყლებიდან. ამჟამად მე-6 რაბიდან № 73 გადამღობ ჭიშკრამდე უკვე შექმნილია სანაოსნო გზა 42,8 კილომეტრის სიგრძისა.

დღეს წყალქვეშ არის 94 კილომეტრი მანძილი.

ფრანგ მეცნიერთა მოხსენებანი

ლენინგრადი, 6 აპრილი (საქდესი). 5 აპრილს სამეცნიერო-კვლევითს სამეანო - გინეკოლოგიურ ინსტიტუტში ლენინგრადის მედიცინის მუშაკებმა მოისმინეს საფრანგეთის დელეგაციის წევრების—პროფესორების ბეზრედკას, მაზზეფის, მერლდ,ობინიეს და ვოლმანის მთელი რიგი მოხსენებანი.

პროფესორმა ბეზრედკამ დამსწრეებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი პიონერთა ლენინგრადის სასახლის შესახებ, რომელიც მან ინახულა, და განაცხადა:

„მთელს ჩემს სიცოცხლეში დამრჩება პიონერთა სასახლის ნახვისა და დათვალიერებისაგან მიღებული შთაბეჭდილება. ეს შესანიშნავი დაწესებულებაა, რომლის სადარი ქვეყნიერებაზე არსად არ მოიპოვება. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გაქვთ ხელოვნების სასახლეები, შრომის სასახლეები და სხვ., მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, რომ თქვენ შეგიქმნიათ ასეთი საუცხოო დაწესებულება სპეციალურად თქვენი ქვეყნის პატარა მოქალაქეებისათვის. სასახლის მოწყობილობის თვითეულ დეტალში, კედლის მხატვრობასა და მორთვაში სჩანს ზრუნვა ბავშვთა გონივრულ გართობაზე. თქვენი ახალგაზრდა მოქალაქე ქედს კი არ იხრის, როგორც ეს ჩვეულებრივ წარსულში ხდებოდა, არამედ ამაყად შედის თავის სასახლეში.

გერცენის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა

ლენინგრადი, 6 აპრილი (საქდესი). სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში 6 აპრილს გაიხსნა გერცენის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ბიბლიოთეკის უმდიდრეს კრებულთაგან გამოფენილია ასობით წიგნები, ხელნაწერები, ფოტოგრაფიები და გრავიურები, რომლებიც დაკავშირებული არიან ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენის სახელთან, მის სალიტერატურო და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

გერცენის გამოფენილ ავტოგრაფებს შორის არის დედნები სტატიებისა „ახალი და ძველი რუსეთი", „დასასრული და დასაბამი", აგრეთვე ორიგინალი კარლ მარქსის 1862 წლის 19 აგვისტოს წერილისა, გაგზავნილი პეტერბურგს ექიმ შვარცისადმი, ოგარევისა და ბელინსკის მთელი რიგი წერილები, ბაკუნინის ხელნაწერები.

განყოფილებაში „თავისუფალი რუსული სტამბა ლონდონში" წარმოდგენილია „კოლოკოლის", „პოლიარნაია ზვეზდას" ნომრების ორიგინალები, გერცენის მიერ გამოცემული საპროპაგანდო წიგნების ექ ზე არები.

გამოფენის მასალა შეიცავს გერცენის ბავშვობასა და ყრმობას, სტუდენტობის წლებს, გადასახლებას, ემიგრაციაში ცხოვრებას, აგრეთვე გერცენის თანადროულ პირობებსა და წრეს.

სარაიონო ცენტრის კეთილმოწყობისათვის

აქართველოს სარაიონო ცენტრე- ყოველმხრივ კეთილმოსაწყობად მოსახლეობისათვის სათანადო ლტურული პირობების შესახელად დიდი მუშაობაა გაწეული. ეორე ხუთწლედის 4 წელში მარტო კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხაზით კომუნალურ ა საბინაო მშენებლობაზე იმ სარაიონო ცენტრებში, რომლებიც ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებს არ ეკუთვნიან, დაბანდდა 16.449.500 მანეთი, 1937 ელს დაბანდდება 7,3 მილიონი მა- თი, ხოლო საქართველოში საბჭო- ხელისუფლების დამყარებიდან ემდე ამ რაიონების კეთილმოწ- ობაზე დახარჯულია 30 მილიონ მეტი, ე. ი. საშუალოდ თვი- ული რაიონის ცენტრის კეთილ- ყობაზე დახარჯულია თითქმის მილიონი მანეთი. დაბანდებათა და სხვა ღონის- ებათა შედეგად ძველი სოფლები კულტურულ და პოლიტიკურ ებად გადაიქცნენ. დღეს 30 რაი- ცენტრში უკვე მოქმედებს 11 ლსადენი, 6 აბანო, 15 სასტუმრო, ელსადგური. გარდა ამისა, სარა- ცენტრებში მშენებლობის ცესშია და მალე ამუშავდება: წყალსადენი, 26 აბანო, 6 სასტუმრო, 9 ელსადგური.

ჭვს გარეშეა, სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობასთან და მოსახლეობის კულტურულ ზრდასთან ავშირებით, სარაიონო ცენტრების კეთილმოწყობის საქმე მესამე ხუთწლედში უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება.

ებს საქართველოს სარაიონო ცენტრე- გემები-კულტურულად, სუფთად და ლამაზად უნდა გამოიყურებოდნენ.

გრამ უნდა ითქვას, რომ ხშირად, მიუხედავად მნიშვნელოვანი ტალური დაბანდებისა, ზოგი სა- ონო ცენტრი მაინც ძველებუ- , კეთილმოუწყობლად გამოიყუ- ა, იქ ჯერ კიდევ არ არის შექ- ლი საერთო საყოფაცხოვრებო ობები, რომლებიც უნდა ახასია- დეს ყველა დასახლებულ ად- ს.

რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები აცებული არიან ახალი ობიექ- ბის (აბანო, წყალსადენი, სას- ღმრო, ელსადგური) მშენებლო- თ, საამისო ნებართვის მიღებისა მისი დაფინანსების საკითხებით, ზოგავენ არც დროს, არც ენერ- მათი მშენებლობისას, მაგრამ ხურება რაიონის კომუნალური წარმოება ადგილობრივ მოსახლეობას, ერთხელაც აღარ დასვამენ საკითხს, თუ რა პირობებში უხდებათ მუშაობა რაიონში უკვე არსებულ კომუნალურ წარმოებებს და სხვ.

მხოლოდ ამ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სარაიონო ცენტრის მოსახლეობას აბანო, წყალსადენი და ელსადგური სათანადო მომსახურებას ვერ უწევენ.

ხშირად ადგილობრივი მუშაკები სარაიონო ცენტრის უმწეო მდგომარეობას სახსრების უქონლობით ასაბუთებენ, მაგრამ ამ მიზეზის გასაბათილებლად საკმარისია მოკლედ აღვნიშნოთ, თუ რა ჰქმნის ხშირად რაიონის ცენტრის უმწეო მდგომარეობას.

ერთადერთ ქუჩაზე (ლაგოდეხი, ჩხოროწყუ), რომელიც შუაზე სჭრის სარაიონო ცენტრს, დაყრილია უზარმაზარი ქვები, ნაცარი, ეზოებიდან გამოზიდული ნაგავი და სხვ. ქუჩის ორივე მხარეს ძველი, ნახევრად დამპალი ღობეები „ამშვენებს", ჭიშკრებზე ჭუჭყიანი ძონძები ჰკიდია, ქუჩის ორივე მხარეზე წყლის არხები გაბინძურებულია, ალაგალაგ არხების ნაპირები მინგრეულ-მონგრეულია; ახლად გაშენებული პატარა ბაღი უყურადღებოდაა მიტოვებული და საცოდავად გამოიყურება, შიგ ერთი სკამიც არ არის, სამაგიეროდ ღორები დარბიან; მაღლობებიდან რაიონის ცენტრში რამდენიმე რუ ჩამოდის და რადგან მათთვის კალაპოტის მიჩენაზე არავის უფიქრნია, წყალი მოედანს რამდენიმე ადგილას ატალახებს; ნახმარი გაბინძურებული წყალი რაიონის აბანოდან პირდაპირ ქუჩაშია გადმოშვებული (დუშეთი, ლაგოდეხი).— აი ბევრი ჩვენი რაიონის ცენტრის სტანდარტული სურათი.

ზოგან კი წუწუნებენ: „ფული არა გვაქვს, რა ვქნათ". განა დაუძლეველია ჩვენთვის ყველა ამ დეფექტის სრული აღმოფხვრა, განა შეიძლება მათი არსებობის გამართლება სახსრების უქონლობით, ან ადგილობრივი ბიუჯეტის სისუსტით? ეს მხოლოდ „ობიექტიური მიზეზია" და მეტი არაფერი. ცხადია, რაიონის ცენტრს ყოველმხრივ მხოლოდ ენერგიული მუშაობა გააჯანსაღებს.

რაიონების მუშაკებმა დიდი და ენერგიული მუშაობა უნდა გააჩაღონ რაიონის ცენტრის სახის ისე შესაცვლელად, რომ იგი შეესაბამებოდეს გამარჯვებული სოციალიზ-

კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 5 აპრილი.

ამხ. ი. ზ. სურიცის დანიშვნის შესახებ სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. იაკობ ზაქარიას-ძე სურიცი სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში და განთავისუფლებულ იქნას იგი გერმანიაში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 7 აპრილი.

◆

საგაზაფხულო ხვნა-თესვა
მიწსახკომის 5 აპრილის ცნობებით

რაიონები	საგაზაფხულო ხვნა კოლმეურნეობებში: სულ მოხნულია ჰექტ-ბით	საგაზაფხულო ხვნა კოლმეურნეობებში: გეგმის შესრულ. პროც.	თესვა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში: დათესილია საგაზ. კულტურ. ჰექტ-ბით	თესვა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში: გეგმის შესრულ. პროც.
ახალქალაქი	442	1,7	1813	4,9
ბოგდანოვკა	1108	12,2	1011	4,9
ახალციხე	1898	54,2	4945	39,3
ადიგენი	418	43,8	1349	15,9
ასპინძა	536	29,1	2945	30,2
ხაშური	6883	101,8	7889	31,1
გორი	10379	73,3	4564	21,3
კასპი	6787	98,8	4851	82,8
ბორჯომი	700	20,9	1072	18
გურჯაანი	8031	99,4	6360	48,8
სიღნაღი	13408	86,7	13.884	63,8
თელავი	8163	105,7	6031	85,7
ყვარელი	2786	59,5	1846	24,6
ლაგოდეხი	3099	98,8	2603	26,9
თბილისი	8327	100,8	7543	56,6
ყარაია	2223	104,8	1001	29,3
ბორჩალო	5521	105,1	2183	24,3
ლუქსემბურგი	2562	73,1	2659	45,3
წალკა	2194	15,8	3803	16,5
დუშეთი	3070	63,2	2625	22
ალბულაღი	4037	68,8	4805	41,5
საგარეჯო	5597	53,5	4762	34,7
ბაშკიჩეთი	1827	32,2	1142	11,2
თიანეთი	1067	23,3	2132	24,5
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	9030	69,6	9894	35,2
ქუთაისი	9377	78,2	3563	13,5
სამტრედია	8993	94,9	152	1,1
წულუკიძე	4875	97,8	591	5,4
ვანი	5153	101	533	5,3
ბაღდათი	3426	78,9	1089	17,1
ჯუღელი	3480	49,9	2158	22,3
ჩხარი	2780	50,1	3362	37,4
ჭიათურა	10184	62,4	6177	21,8
ორჯონიკიძე	2605	31	2566	23,9
ტყიბული	1974	38,9	2477	26,9
ონი	1098	25,6	1098	16,9
ამბროლაური	2438	35,1	2421	29,1
ცაგერი	1787	48	2069	23,8
ქვემო-სვანეთი	—	—	485	20,3
აბაშა	11103	91,5	330	1,9
ცხაკაია	8026	73,3	1129	6,3
გეგეჭკორი	7085	96,1	1363	9
ზუგდიდი	6879	82,4	430	2,4
ხობი	4536	80,6	—	—
წალენჯიხა	1105	61,7	105	1,5
ჩხოროწყუ	1863	38,5	55	0,6
მახარაძე	4140	75,6	27	0,4
ლანჩხუთი	5898	71,6	—	—
ჩოხატაური	3275	72,8	158	2,1
ფოთი	882	130,7	—	—
აფხაზეთის ასსრ	30080	78,8	1124	1,8
აჭარის ასსრ	152[illegible]	34,1	533	2,5
სულ რესპუბლიკაში	255.914	64,8	137.932	18,8

○

გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებში დათესილია 5.188 ჰექტარი (გეგმის 57,7 პროცენტი). სულ რესპუბლიკაში (ყველა სექტორში) 5 აპრილისათვის დათესილი იყო 142.2370 ჰექტარი—გეგმის 19,3 პროცენტი.

წინა ხუთდღიურთან შედარებით ამ ხუთდღიურში ხვნის ტემპის დაჩქარებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ როცა ამინდი სავსებით ხელსაყრელი იყო. მარტის უკანასკნელ ხუთდღიურში მოიხვნა 49.784 ჰექტარი, აპრილის პირველ ხუთდღიურში კი—49.772, ანუ 12 ჰექტარით ნაკლები.

არც თესვის ტემპებია დამაკმაყოფილებელი.

ლი დემოკრატიის გაშლილი დროშით



აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს საევაკუაციო-მიმღები პუნქტი სოხუმის ერთერთი ულამაზესი შენობაა. მისი გამტარუნარიანობა თვეში 370 კაცს შეადგენს. წელს სამ თვეში აქ 1150 კაცმა გაიარა.
სურათზე: აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს საევაკუაციო-მიმღები პუნქტის შენობა, რომელიც 1936 წლის დამლევს დამთავრდა.
ფოტო პარასკევოპულოსისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

არჩევნების წესების უხეში დარღვევანი

სოხუმი, 7 აპრილი (საქდესი). ხუმის პარტიულ ორგანიზაციებში აიწყო პარტიულ ორგანოების ანრიშები და არჩევნები. კრებები მდინარეობს მაღალი აქტივობისა კრიტიკისა და თვითკრიტიკის რთო გაშლის ნიშნით.

პირველი საანგარიშო - საარჩევკრებები გვიჩვენებენ, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი ამზადებულა კარგად პარტიულ იებების ჩატარებისათვის, ყველა ომუნისტს როდი შეუსწავლია კარად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის მოხსენება და საკ. კ. პ. ც. კ-ის წერილი პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე მთვლელი კომისიის წევრმა ამხ. გრიგორიანმა თავის გამოსვლაში ფარული კენჭისყრის წინ განაცხადა, რომ კრებამ კენჭის ყრისას უნდა გაითვალისწინოს სასამართლოს და პროკურატურის წარმომადგენლობაო.

ლენინის სახელობის სანატორიუმში მთვლელი კომისიის მუშაობის დროს ოთახში იყო სოხუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გაბუნია.

ჯანსახკომის პარტორგანიზაციაში მთვლელი კომისიის ოთახში მუდმივ იმყოფებოდა პარტიის ოლქკომის ინსტრუქტორი ამხ. ვალიცკი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ხმების დათვლასა და ოქმის შედგენაში. მას შეეკითხნენ, თუ რატომ იქცევა ასე. ამაზე ამხ. ვალიცკიმ უპასუხა: „ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავო“.

ფინსახკომისა და ელექტროსადგურის პარტორგანიზაციებში მთვლელი კომისიის შემადგენლობაში ირჩევდნენ პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორებს, რომელნიც ამ ორგანიზაციებში არ შედიან.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტორგანოების არჩევნების წესის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებათა ამ მეტად უხეშ დარღვევებისათვის ჯეროვანი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ აღნიშნულ ორგანიზაციათა კომუნისტებს.

პარტორგანოების არჩევნები ბათუმში

ბათუმი, 7 აპრილი (საქდესი). 1 აპრილს დაიწყო პარტორგანოების არჩევნები ქალაქის პარტორგანიზაციებში. მომთუთიებელი ქარხნის პარტორგანიზაცია გულდასმით და სერიოზულად ემზადებოდა არჩევნებისათვის. მზადებაში მთავარი ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმას, რომ კომუნისტებს შეესწავლათ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ სტალინის მოხსენება.

3 აპრილს მომთუთიებელი ქარხნის მუშები შეიკრიბნენ საარჩევნო პარტკრებაზე, რომელზედაც პარტიის 12 წევრიდან და კანდიდატიდან გამოცხადდა 11 კაცი. ერთი მივლინებაში იყო. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტორგი ამხ. სიმონიანი.

პარტორგის ანგარიშმა ცხადჰყო, რომ მომთუთიებელი ქარხნის პარტორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიის წესდებისა და შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევებს. თავის მუშაობის სამნახევარი წლის განმავლობაში ამხ. სიმონიანი, როგორც პარტორგი, პირველად ატარებს ანგარიშს პარტკრებაზე. თანამგრძნობთა ჯგუფი, რომელშიაც 2 წლის წინათ ჩაბმული იყო 5 კაცი, არ იზრდებოდა, თანამგრძნობთა შორის არ სწარმოებდა მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა. კომუნისტები პარტკრების დღის წესრიგს არაიშვიათად გებულობდნენ თვით პარტკრებაზე.

პარტორგის ანგარიშის ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 9 კაცი. კომუნისტმა ამხ. რაპავამ მკაცრად გააკრიტიკა პარტორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი.

პარტმასობრივი მუშაობა ჩვენში ცუდად არის დაყენებული, — განაცხადა მან, — წაკითხვასა და საუბრებს საამქროებში არასისტემატურად ვატარებთ, ეს მუშაობა არ დგას მაღალ იდეურ დონეზე. მახსოვს შემთხვევები, როდესაც მე არ მაძლევდნენ საშუალებას გამოვსულიყავ პარტკრებებზე იმიტომ, რომ არ შემწევს უნარი მჭერმეტყველურად ვილაპარაკო.

ამხ. სურმავას მოჰყავს იმის ფაქტი, რომ მომთუთიებელი ქარხნის კომუნისტებს არა აქვთ უნარი დაიცვან პარტიული საიდუმლოება. ამხ. მელენსკი აღნიშნავს ცუდ მზადებას პარტკრებებისადმი, რასაც მოსდევს კომუნისტების სუსტი აქტივობა. პარტკრებაზე კომუნისტებს ხშირად გამოძახების გზით აიძულებენ ილაპარაკონ.

პარტორგის ანგარიშის განხილვამ ჩაიარა ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობით.

ნაკლოვანებათა გაკრიტიკებასთან ერთად, კომუნისტებს შემოჰქონდათ საგულისხმო წინადადებანი პარტორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კრებამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია პარტორგის მუშაობა. შემდეგ გადავიდა პარტორგის არჩევნებზე. ორი წამოყენებული კანდიდატურიდან ფარული კენჭისყრით პარტორგად ერთხმად (შვიდი ხმა შვიდი ხმის მიცემიდან) კვლავ აირჩიეს ამხ. სიმონიანი.

○

ბათუმში ჩატარებული არჩევნების პირველმა დღეებმა გვიჩვენეს, რომ ცალკეული პარტიული ორგანიზაციები, მიუხედავად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებისა, ცუდად მოემზადნენ ამ მნიშვნელოვან სამუშაოს — არჩევნების — ახლებურად ჩატარებისათვის, და დაუშვეს მთელი რიგი შეცდომები.

პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორის ამხ. პანკეევისა და პარტიის ოლქკომის ინსტრუქტორის ამხ. ჯიმშელეიშვილის თანხმობით, მთვლელი კომისიის თავმჯდომარედ გზატკეცილების სამმართველოს პარტიულ კრებაზე აირჩიეს პარტიის ქალაქკომის წარმომადგენელი ამხ. კერესელიძე, რომელიც არ არის ამ პარტორგანიზაციის წევრი.

„გლავმიასოს“ პარტორგანიზაციაში მთვლელ კომისიაში აირჩიეს ქალაქკომის ინსტრუქტორი ამხ. რაბინოვიჩი, რომელიც დაესწრო საარჩევნო კრებას, ამხ. რაბინოვიჩიც არ არის ამ პარტორგანიზაციის წევრი.

აშკარავებენ ნაკლოვანებებს, სახავენ შემდგომი მუშაობის გზებს

დანიშნულ დროს მყუდრო წითელ კუთხეში შეიკრიბა საფრინოსნო-საპლანერო ცენტრალური სკოლის (ორჯონიკიძის რაიონი) ყველა კომუნისტი.

პარტორგმა ამხ. სარჯველაძემ ჯერ კიდევ პარტიული კრების გახსნამდე გაითვალისწინა ყოველივე, რაც დაკავშირებულია არჩევნების ტექნიკასთან: ქაღალდი, ლუქი, ბეჭედი, ყუთი და სხვ. მან ყველა კომუნისტს ჩამოურიგა ფანქარი და რვეული.

— ჩვენი პირველადი პარტორგანიზაცია,—ამბობს ამხ. სარჯველაძე თავის მოხსენებაში, — სულ ორი თვეა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გავაკეთეთ ზოგი რამ, მაგრამ ამასთან ერთად კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს.

ჩვენი მუშაობის სუსტი ადგილი ის არის, რომ არ ვამოწმებთ როგორც რაიკომის, ისე ჩვენი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ცუდად არის ჩვენთან დაყენებული პარტიული დოკუმენტების შენახვის საქმე. იყო შემთხვევა, როდესაც ფანჯრის რაფაზე ეყარა საიდუმლო ქაღალდები. ცალკეული კომუნისტები არღვევენ პარტიულ დისციპლინას. ერთერთ კრებაზე ამხ. ოჰანესიანმა ნახევარ საათზე მეტი დაიგვიანა, ხოლო სკოლის უფროსმა ამხ. დუდუჩავამ არ მოისურვა მოეცადა დაგვიანებულთათვის და პარტიული კრების გახსნამდე წავიდა.

პარტორგის ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხ. ჩოგოვაძე ლაპარაკობდა პარტიის წესდების დარღვევის შესახებ ცალკეული კომუნისტების მიერ. პარტიის წესდებაში ნათქვამია: „პარტიის წევრი ვალდებულია აამაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონე“, ხოლო ჩვენი ცალკეული კომუნისტები არღვევენ ამ პუნქტს. პარტიის წევრს ავეტისოვს სუსტი პოლიტიკური მომზადება აქვს, მაგრამ სწავლას არასერიოზულად ეკიდება. პოლიტწრის მეცადინეობისათვის არ ემზადება და თავის თავზე არ მუშაობს.

— მასობრივ - პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კურსანტებსა და მომსახურე პერსონალს შორის,— ამბობს ამხ. ავეტისოვი,—სუსტად არის დაყენებული. ის ფაქტი, რომ ჩვენ ჯერ ერთი უპარტიო კურსანტი ან მოსამსახურეც კი ვერ მოვამზადეთ თანამგრძნობთა ჯგუფში შესაყვანად, აგრეთვე ის, რომ არცერთი განცხადება არ არის შემოტანილი პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ, იმას გვეუბნება, რომ ჩვენ სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

— თუმცა ჩვენი პარტორგანიზაცია,—ამბობს ამხ. დუდუჩავა, სულ ორი თვეა არსებობს, მაგრამ შეიძლებოდა გაკეთებულიყო გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე გაკეთებულია.

ჩვენ გვყავს კომკავშირული ორგანიზაცია, რომელშიც ითვლება ალკკ-ის 63 წევრი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ალკკ-ის ორგანიზაციის მუშაობა მოიკოჭლებს და ამაში ბრალი ედება, პირველყოვლისა, პარტორგანიზაციას, რომელიც ნაკლებ ყურადღებას უთმობს ალკკ-ის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ფაქტები, რომლებიც მოითხოვენ გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე, გავაუმჯობესოთ ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

კამათის დასრულებისა და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიიღო რა მუშაობის შეფასება და პრაქტიკული ღონისძიებანი, კრება გადავიდა შემდეგ საკითხზე— პარტორგისა და რაიპარტკონფერენციის დელეგატის არჩევნებზე.

იხელმძღვანელა რა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წერილით პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ, კრებამ სამი ხმის უმეტესობით ორის წინააღმდეგ პარტორგად აირჩია ამხ. სარჯველაძე, ხოლო რაიპარტკონფერენციის დელეგატად — ამხ. ოჰანესიანი, რომელმაც მიიღო 4 ხმა ერთის წინააღმდეგ (საქდესი).

იზრდება კომუნისტთა აქტივობა

ქუთაისი, 5 აპრილი (საქდესი). ქუთაისის საქალაქო საბჭოს პარტიულ ორგანიზაციას, სადაც პარტიის 65 წევრი და 15 კანდიდატი არის, არ ახსოვს ისეთი აქტიური კრება, როგორიც იყო ამ დღეებში ჩატარებული. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა პარტიის 63 წევრი და 15 კანდიდატი. საპატიო მიზეზის გამო კრებას არ დასწრებია პარტიის 2 წევრი.

პარტკომის მდივნის ამხ. ი. ბაკურაძის საანგარიშო მოხსენებას საქმიანი, ყოველმხრივი კრიტიკა გაუწიეს. კამათში გამოვიდნენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც წინანდელ კრებებზე ჩუმად ისხდნენ, არ ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას პარტკრებების მუშაობაში.

კამათში გამოვიდა 24 ამხანაგი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევს პირველად პარტორგანიზაციებს. შეამოწმა რა საქალაქო საბჭოს პარტკომის მუშაობა, საქალაქო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი პარტიულ მუშაობაში, მიუთითა, როგორ უნდა გამოსწორდეს ისინი, მაგრამ არ ადევნა თვალყური იმას, თუ როგორ გაატარა ცხოვრებაში ეს მითითებანი საქალაქო საბჭოს პარტკომმა.

— საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორები,—ამბობდნენ გამოსული ამხანაგები,—საჭიროდ არ სთვლიან შეამოწმონ და შეისწავლონ პოლიტსკოლების მუშაობა. საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორებს რომ საქალაქო საბჭოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლებში ევლოთ, ისინი ნახავდნენ, რომ პოლიტსკოლები არ არის სწორად დაკომპლექტებული: იმ ამხანაგებთან ერთად, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ, მეცადინეობენ ისეთები, რომელთაც დაბალი განათლებაც კი არ მიუღიათ.

— პარტკრებებმა ჩვენში დუნედ ჩაიარა იმიტომ, რომ არ ხდებოდა მათი მომზადება,—აღნიშნავდნენ გამოსული ამხანაგები.

— ცალკეული კომუნისტები (ამხ. კაშია, სვანიძე, ჭავჭანიძე, და სხვ.) არ იცნობენ პარტიის წესდებას, არ არიან დაინტერესებული თავისი პარტორგანიზაციის მუშაობით. კრიტიკა და თვითკრიტიკა პატივში არ ყოფილა, მოჩლუნგებული იყო ზოგიერთი კომუნისტის ბოლშევიკური სიფხიზლე. იცოდნენ რა კონტრრევოლუციონერების, ტროცკისტ მავნებლების—საქალაქო საბჭოს ყოფ. თავმჯდომარის დ. ხარაბაძის, კ. სულავას, ფოფხაძის და ცაგარლის საქმიანობა, ცალკეული კომუნისტები სდუმდნენ და თავისი დუმილით იფარავდნენ პარტიისა და ხალხის მტრებს.

ჩერდებოდნენ რა საქალაქო საბჭოს მუშაობაზე, გამოსულნი აღნიშნავდნენ საქალაქო საბჭოს არასაკმაო კავშირს მასებთან. საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილება (გამგე დ. ბერაძე) უსულგულოდ ეკიდება მშრომელთა მოთხოვნილებებს.

კრებამ პარტკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

პარტიული კომიტეტისა და პარტკონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევის წინ კრების თავმჯდომარემ წაიკითხა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“.

პარტკომის ახალ შემადგენლობაში წამოყენებულ კანდიდატურათა ფარული კენჭისყრა ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა დაცვით.

რაიონულ პარტკონფერენციისათვის არჩეულია 7 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 1 დელეგატი სათათბირო ხმით.

○

კასპი, 5 აპრილი (საქდესი). ჯერ კიდევ დანიშნულ საათამდე მოიყარეს თავი კასპის რაიაღმასკომის პარტორგანიზაციის წევრებმა საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე. პარტიის 33 წევრისა და კანდიდატთაგან კრებას 28 კაცი დაესწრო. 5 ამხანაგი არ დასწრებია ავადმყოფობისა და სხვა საპატიო მიზეზის გამო.

კამათში პარტკომის მდივნის ანგარიშის გარშემო მონაწილეობა მიიღო 16 კაცმა. გამოსულნი ბოლშევიკურად აკრიტიკებდნენ პარტორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებს, მოჰყავდათ პარტიის წესდებისა და შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის კონკრეტული ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა პარტორგანიზაციისა და პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობაში.

— რაიონულ კომიტეტში ასეთი პრაქტიკა იყო,—ამბობდნენ გამოსულნი, — კომუნისტებს რომ პარტიიდან გარიცხავდნენ, საჭიროდ არ მიაჩნდათ გამოეძახნათ ისინი რაიკომის ბიუროზე, შემდეგ გარიცხვას ამტკიცებდა პარტორგანიზაცია. ასე გარიცხეს პარტიიდან ამხ. თულაშვილი და ქსოვრელი, მათი საქმეების გადასინჯვამ გაარკვია, რომ ისინი უსამართლოდ იყვნენ გარიცხულნი და ისინი აღადგინეს.

ამხანაგები შონია, ცქიტიშვილი, ახობაძე, დოლიძე, ხუროშვილი და სხვები—ლაპარაკობდნენ პარტიულ-მასობრივი მუშაობის ნაკლოვანებებზე, აღნიშნავდნენ ცუდ მომზადებას პარტიული კრებებისათვის, იმას, რომ არ ხდება შემოწმება, შეასრულეს თუ არა კომუნისტებმა პარტორგანიზაციის დავალებანი. არ მოწმდება აგრეთვე პარტკომის გადაწყვეტილებათა შესრულება.

დაიწყო არჩევნები. კრებამ აირჩია დამთვლელი კომისია და განსაზღვრა პარტკომის წევრთა რაოდენობა. პარტკომის წევრად წამოაყენეს 14 კანდიდატურა, რაიპარტკონფერენციის დელეგატად 19 კაცი. აცილება არ ყოფილა. არჩევნების დაწყებამდე კრება გაეცნო არჩევნების წესს.

ფარული კენჭისყრით პარტკომის შემადგენლობაში არჩეული არიან ამხ. დოლიძე, ახობაძე, შონია, ბეგიაშვილი, ბაბილოძე. პირველ სამში თვითეულმა 18 ხმა მიიღო, ამხ. ბეგიაშვილმა—15 და ბაბილოძემ—12.

ახლადარჩეულმა პარტკომმა ფარული კენჭისყრით პარტიული კომიტეტის მდივნად ამხ. ახობაძე აირჩია.

ქართული მუსიკის კონცერტები

ერევანი, 4 აპრილი (საქდესი). 2 და 3 აპრილს ერევანში, სომხური ფილარმონიის დარბაზში უდიდესი წარმატებით ჩაიარა ქართული მუსიკის ორმა კონცერტმა. კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობმა—ქალმა ეკატერინე ლოლუამ და ორდენოსანმა მსახიობებმა გამრეკელმა და ყვარელაშვილმა.

კონცერტის პროგრამა, რომელშიც შედიოდა პოპულარული არიები და ნაწყვეტები ოპერებიდან „აბესალომ და ეთერი“, „დარეჯან ცბიერი“, „დაისი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და თავისი მუსიკალობით განსაცვიფრებელი ქართული ხალხური სიმღერები, მსახიობებმა გრძნობითა და მაღალი სათეატრო კულტურით შეასრულეს.

დიდი აღფრთოვანებით იმღერა ყვარელაშვილმა სომხური ხალხური სიმღერა ქეროღლი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ვიოლონჩელისტთა სრულიად - საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ჩიჯავაძემ, რომელმაც შეასრულა კომპოზიტორ ჩაიკოვსკის, თაქთაქიშვილისა და სხვ. ნაწარმოებნი.

მსმენელებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს მსახიობები და ყვავილები მიართვეს მათ.

რადიომაუწყებლობის კომიტეტმა მოაწყო ქართული მუსიკის კონცერტების ტრანსლაცია.

◇

დეპუტატები — ამომრჩევლებთან

კრებამ [illegible] განყოფილებებსა და მიიჩნია პარტკომის მუშაობა და [illegible]

◇

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა დარღვევა

ხაბაროვსკი, 4 აპრილი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ვლადივოსტოკის საქალაქო კომიტეტმა და მისმა მდივნებმა ამხ. მიაკინენმა და კასიმენკომ დაუშვეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა უხეში დარღვევა: საქალაქო კომიტეტმა პირველადს ორგანიზაციებში საანგარიშო - საარჩევნო პარტკრებების ჩასატარებლად დანიშნა საქალაქო კომიტეტის და რაიკომთა 50 რწმუნებული.

საკ. კ. პ. (ბ) შორეულ აღმოსავლეთის სამხარეო კომიტეტმა საქალაქო კომიტეტის ეს გადაწყვეტილება სცნო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის მითითებათა უხეშ დარღვევად, სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება გამოხატავს უნდობლობას პირველადი პარტორგანიზაციებისადმი და იწვევს პარტკომებისა და მათი მდივნების შეცვლას „რწმუნებულებით“.

მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის სტაციონარულ ბუფეტთა და ვაგონ-რესტორანთა კანტორა წელს თავის სისტემაში ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მგზავრთა საზაფხულო ნაკადების უკეთ მომსახურებისათვის.

თბილისის და ბაქოს სადგურებზე დაიდგმება საიმპორტო მაცივარი კომპრესორები, რომლებიც დიდძალ ყინულს დაამზადებენ ბუფეტებისათვის, ვაგონ-რესტორანებისათვის და სხვ. 32 მთავარ სადგურზე დაიდგმება საყინულე-შკაფი პროდუქტების შესანახად და გასაგრილებლად, ხოლო 50 შკაფი მოწყობილია [illegible] და მინერალური და ხილოვანი წყლების გასაგრილებლად. მთელ საშუალედო სადგურებზე შემოღებული იქნება სატურატორები, რომლებიც დღეში გამოუშვებენ 19 ათას ბოთლ ლიმონათის ნაწარმს (ხაშური, სამტრედია, ზესტაფონი, გორი, კიროვაკანი, ხაჩმასი და სხვ.). საგრძნობლად გაფართოვდება საცალო დატარებითი ვაჭრობა. ბორჯომის, ქუთაისის, გორის, სურამის, მცხეთისა და სხვ. სადგურებზე, სადაც დიდძალი მოაგარაკე და ტურისტი იყრის თავს, შენდება ახალი, მხატვრულად გაფორმებული ფარდულები და პავილიონები. სამგზავრო მატარებლის ყოველ შემადგენლობას მომსახურებას გაუწევს ორი დამტარებელი, რომლებიც ვაგონებში ჩამოატარებენ საუზმეს, მინერალურ და ხილის წყლებს, საკონდიტრო ნაწარმს და სხვ. (საქდესი).

◇

ხობის [illegible]

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის საქვაბე საამქროს პარტორგი ამხ. გიორგაძე უკითხავს მუშებს ამხ. ბერიას მოხსენებას თბილისის პარტაქტივზე.
ფოტო ბუდეშესკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

პარტიული მუშაკების პოლიტიკური ჰორიზონტის შესახებ

ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის განუყრელად დაკავშირებულია პარტიული ცხოვრების იდეოლოგიური დონის ამაღლებასთან, პარტიული კადრების იდეოლოგიური გამოწრთობისა და პოლიტიკური მომზადების მკვეთრად ამაღლებასთან. რატომ არის, რომ პარტია სწორედ ახლა მოითხოვს, რათა ყურადღება ჩვენი პარტიული ამხანაგებისა, რომელნიც „მიმდინარე საკითხებში“ ჩაეფლნენ, მძაფრად შემობრუნდეს საერთაშორისო და საშინაო ხასიათის დიდი პოლიტიკური პრობლემებისაკენ?

პოლიტიკური სიბრმავე, უდარდელობა და უზრუნველობა არ ჩამოვარდნილან „უეცრად“ ციდან. ისინი გაჩნდნენ, როგორც სამეურნეო წარმატებებით მეტისმეტი გატაცების შედეგი, როგორც შედეგი ელემენტარული, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე არსებითი ფაქტების დავიწყებისა. დაავიწყდათ კაპიტალისტური გარემოცვა, ტროცკისტებისა და მემარჯვენეების ძირგამომთხრელი მუშაობის ახალი ფორმები, ჩვენს წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხეები. ფაქტები, რომლებიც ბოლშევიკებს უფლება არა აქვთ ერთი წუთითაც კი დაივიწყონ.

უდარდელობის ატმოსფეროში ზოგიერთ პარტიულ და სამეურნეო მუშაკს, იდიოტური ავადმყოფობით— უზრუნველობით დაავადებულს, თანდათან ეკიდებოდა ოპორტუნისტული ქონი, ისინი გაურბოდნენ თანამედროვეობის დიდ საკითხებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა გამოააშკარავა ზოგიერთი ჩვენი მუშაკის უიდეურობა, მათი პოლიტიკური ჰორიზონტის სივიწროვე. რა არის მათთვის საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა?! „კაპიტალისტური გარემოცვა?“ —მსჯელობენ ისინი. — „ეს ხომ არაფერია! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რაღაც კაპიტალისტურ გარემოცვას, თუ ჩვენ მთლიანად და გადაქარბებით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს?“

ასეთ ადამიანთა მთელი უბადრუკი ფილოსოფია ერთ რამეში გამოიხატება: იცხოვრე რაც შეიძლება გულდამშვიდებით... და ასეთი, ხშირად პატიოსანი მუშაკები, რომლებიც კისრამდე არიან ჩაფლული „მიმდინარე“ საქმიანობაში, იხრჩობიან მრავალ დაწყებულ და მოუთავებელ საქმეთა გროვაში, ხდებიან ჭკუამოკლე მოსაქმენი. ჯერ კიდევ XV პარტიულ ყრილობაზე ამხანაგი სტალინი აფრთხილებდა კომუნისტებს, რომ მუშაობაში არ გამოჰკიდებოდნენ დეკლარაციებსა და საპარადო ხმაურს, არ გამოეჩინათ იმის სურვილი, რომ მიჰყოლოდნენ მდინარებას, არხეინად და გულდამშვიდებით, უპერსპექტივებოდ, მომავლის განუჭვრეტლად, ისე, რომ ირგვლივ იგრძნობოდეს სადღესასწაულო განწყობილება, რომ ყოველდღე მათ ჰქონდეთ საზეიმო კრებები და ყველგან იყოს ტაშისცემა...

„გინახავთ თუ არა მენიჩბენი, — ამბობდა მაშინ ამხანაგი სტალინი,— რომელნიც პატიოსნად, ოფლის წურვით უსვამენ ნიჩაბს, მაგრამ ვერ ხედავენ იმას, თუ საით მიაქანებს მათ მდინარება? მე მინახავს ასეთი მენიჩბენი ენისეიზე. ეს—პატიოსანი და დაუღალავი მენიჩბენი არიან. მაგრამ მათი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვერ ხედავენ და არც უნდათ დაინახონ, რომ ისინი შეიძლება ტალღამ კლდეს მიახეთქოს, სადაც მათ დაღუპვა ემუქრებათ. სწორედ იგივე ემართება ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს. უსვამენ ნიჩაბს პატიოსნად, დაუღალავად მისცურავენ მწყობრისად, ეძლევიან რა მდინარებას, ხოლო საით მიაქანებს მათ, ეს არა თუ არ იციან, არამედ არცკი უნდათ იცოდნენ. მუშაობა უპერსპექტივებოდ, მუშაობა უსაჭოდ და უაფროდ — აი რა მოსდევს სურვილს აუცილებლად დაჰყვე მდინარებას. შედეგები და? შედეგები ნათელია: მათ ჯერ ხავსი მოეკიდებათ, შემდეგ ისინი უფერულნი ხდებიან, შემდეგ მათ ითრევს ობივატელობის ჭაობი, შემდეგ კი იქცევიან ჩვეულებრივ ობივატელებად“.

ჩვენი განვითარების საფუძველია — განუწყვეტელი ბრძოლა სოციალიზმის ძალებსა და კაპიტალიზმის ძალებს შორის. პარტიული მუშაკი უნდა სწავლობდეს ბრძოლის დიალექტიკის გაგებას. მას უნდა შესწევდეს უნარი შეაფასოს ფაქტები, ანალიზი გაუკეთოს პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს, წინ შორს იხედებოდეს. შახტის საქმის გაკვეთილებზე ცენტრალური კომიტეტი ასწავლიდა პარტიულ მუშაკებს თავს არ გასვლოდათ, სავსებით დაუფლებოდნენ ტექნიკას.

„რომ უხელმძღვანელო, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — საჭიროა გაიჭვრიტო. განჭვრეტის ხელოვნება პარტიული ამხანაგებისაგან მოითხოვს დიდ ჰორიზონტს, ცოდნის მუდმივ დაგროვებას. განჭვრეტის ხელოვნება — ეს როდია წესები, რომლებიც შეგიძლიან ერთხელ და სამუდამოდ გაიზეპირო და მექანიკურად შეასრულო, რომ განჭვრიტო, საჭიროა ბევრი რამ იცოდე არა მარტო შენი ყოველდღიური მუშაობის ვიწრო დარგში. უნდა იცნობდე მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ცოცხალ ცხოვრებას. უნდა იცნობდე ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ჩვენი პარტიის ისტორიას, სოციალიზმის მტრებთან მისი მრავალი წლის ბრძოლის ისტორიას. უნდა სწავლობდე საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას, იცოდე და გახსოვდეს ის უამრავი ხრიკები და საძაგლობანი, რომლებსაც მუდამ მიმართავდნენ ექსპლოატატორული კლასები თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად. განუწყვეტლივ უნდა სწავლობდე მუშათა კლასის მასწავლებლების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის თეორიას, რომელიც წარმოადგენს მძლავრ გზისმაჩვენებელს საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

განჭვრეტა დაკავშირებულია ცხოვრების ღრმა ცოდნასთან, საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში გარკვევის უნართან, პოლიტიკური სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენათა განზოგადებასთან, შენი საკუთარი მუშაობის გააზრების უნართან. ყოველივე ეს გულისხმობს, რომ პარტიულ ამხანაგს უნდა ჰქონდეს ბოლშევიკური სიფხიზლე, პოლიტიკური ყურმახვილობა, ყველაზე მკაცრი კრიტიკა და თვითკრიტიკა მუშაობაში, ურომლისოდაც წარმოუდგენელია წინსვლა.

ამხანაგ სტალინის რეპლიკა, მიმართული შახტ „ცენტრალნაია-ირმინოს“ პარტორგისადმი, სადაც ჩაისახა სტახანოვური მოძრაობა: „თქვენ პარტიული ადამიანი ხართ და ყველაფერი უნდა გაინტერესებდეთ“, —მიმართულია პარტიული მუშაკებისადმი. იყო მასების პოლიტიკური ორგანიზატორი — ნიშნავს უფრო მეტი მოთხოვნები წაუყენო შენს თავს, ჩასწვდე ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდება, დაინტერესებული იყო როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საკითხებით.

თვით ცხოვრებაც, კაცმა რომ სთქვას, თვითეული პარტიული ამხანაგის წინაშე აყენებს თანადროულობის მწვავე და მღელვარე საკითხებს. ბოლო დროს პარტკომების მდივნებმა იწყეს ხელმძღვანელობის გაწევა აგიტკოლექტივებისა და პარტიული სკოლებისათვის. და მარტო ამანაც კი დააყენა ისინი ისეთი დიდძალი ურთულესი მოვლენებისა და საკითხების წინაშე, რომლებიც მოითხოვენ არა მიტინგობისა და ლამაზ სიტყვებს, არამედ ნათელ და გონივრულ პასუხებს, ცოდნასა და უნარიან ორიენტირებას ყველაფერში, რაც კი ხდება საამქროს ქარხნის, კოლმეურნეობის, რაიონის ფარგლებს იქით.

არ შეიძლება მუშაობა ისე, თუ ვერაფერს დააგროვებ, არ შეიძლება ჩამორჩე ცხოვრებას, გაფლანგო ცოდნის ძველი მარაგი! ეს ხომ საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ პარტიის რიგითი წევრები პოლიტიკურ ზრდაში ხშირად უსწრებენ ზოგიერთ პარტიულ მუშაკს. როგორ გამოიყურებიან ის პარტიული მუშაკები, რომელნიც არა თუ სერიოზულ ლიტერატურას, არამედ გაზეთსაც კი, ცუდად კითხულობენ და თავს იმართლებენ დროის უქონლობით, „საშინელი დატვირთვით“ და სხვ.?!

კიევის გემთსაშენ ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცაში“ საამქროს პარტიული ორგანიზატორების — უხიხის, რუვინსკისა და დანილენკოს — საბიბლიოთეკო ფორმულარები ცარიელია. ძალიან, იშვიათად მიმართავენ ბიბლიოთეკას პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. პონომარენკო და მისი მოადგილე ამხ. სლავინ. მართალია, ამბობენ, მათს კაბინეტებში დგას დამტვერული შკაფები პარტკაბინეტის მიერ შერჩეული ლიტერატურით. ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არა აქვთ ორგანული მოთხოვნილება კითხვისა. ისინი ზღუდავენ თავის პოლიტიკურ ჰორიზონტს, მათ მოელით საფრთხე ჩამორჩნენ თავისივე პარტიული ორგანიზაციის რიგით კომუნისტებს. მაგალითად, ელექტროშემდუღებელს ამხ. ზუევს, რომლისთვისაც პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის კითხვა მუდმივ ჩვეულებად იქცა.

ლენინს მრავალჯერ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ჭკუიან კომუნისტს სწავლებისა არ ეშინიან. და იგი პარტიის წევრის წინაშე აყენებდა ძნელ, მაგრამ მადლიან ამოცანას — იყოს თანამედროვე განათლებული ადამიანი, გაამდიდროს თავისი მეხსიერება ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რომლებიც კაცობრიობას გამოუმუშავებია. „თუ ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ კაცი დაიწყებს ლაპარაკს — კომუნისტი ვარ და რაიმეს მკვიდრად ცოდნა საჭირო არ არისო, მისგან არაფერი მსგავსი კომუნისტისა არ გამოვა“ (ლენინი).

კომუნიზმს ვერ შექმნი კომუნისტური ლოზუნგების გაზეპირებით. ეს იწვევს მხოლოდ მეტად მავნე ზერელობას, საქმოსნობას, პოლიტიკურ უდარდელობას.

ნამდვილ პარტიულ მუშაკს, რომლისთვისაც უცხოა კომყოყოჩობა და ენაჭარტალობა, მშვენივრად ესმის, რომ არ შეიძლება პოლიტიკურად უხელმძღვანელო მასებს, თუ არ სრულჰყოფ შენს თეორიულ ცოდნას. პარტიული კადრები მხოლოდ მაშინ აღმოჩნდებიან ახალი ამოცანების სიმაღლეზე, თუ ისინი შეუპოვრად დააგროვებენ ცოდნასა და გამოცდილებას, თუ ისინი გააფართოვებენ თავის პოლიტიკურ ჰორიზონტს.

„პრავდის“ მოწინავე, 6/IV

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელ. ჩერქეზიშვილის იუბილე

50 წელი სცენაზე

ელისაბედ ჩერქეზიშვილი

○

დღეს საბჭოთა საზოგადოებრიობა 50 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს უხდის რესპუბლიკის სახალხო არტისტს ელისაბედ ჩერქეზიშვილს.

1896 წელს ელისაბედ ჩერქეზიშვილმა პირველად შემოდგა ფეხი ქართულ სცენაზე, როგორც აქტიორული ხელოვნების იმ მაღალი ტრადიციების მემკვიდრემ, რომელსაც ქართული თეატრის ხიამაყე ნატო გაბუნია-ცაგარლისა ამკვიდრებდა.

სცენიურ სახეთა მთელი გალერია შექმნა ელ. ჩერქეზიშვილმა 50 წლის თეატრალური მუშაობის მანძილზე, კერძოდ ქართულ, რუსულ და ევროპულ კლასიკურ დარამატურგიაში. შესანიშნავი ოსტატობით არის აღბეჭდილი ისეთი როლები მის ფართო რეპერტუარში, როგორიცაა ფროშარი („ორი ობოლი"), ანზაურის ქვრივი („გლახა ჭრიაშვილი"), ელისაბედი („ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იქორწინეს") მამიდა („სტუმარ-მასპინძლობა"), ნენე („მზის დაბნელება საქართველოში"), სარა და ხანუმა („ხანუმა"), კატინა („რაც გინახავს, ველარ ნახავ"), კეკელა („გაცრუებული იმედები") და სხვ.

უკანასკნელ წლებში ელ. ჩერქეზიშვილმა შექმნა მთელი რიგი სახეები საბჭოთა რეპერტუარში. დაუვიწყარია მისი სიფორია გ. ბაზოვის „იცკა რიჟინაშვილში".

ელ. ჩერქეზიშვილის შემოქმედებაში მკაფიოდ არის გამოხატული აქტიორული თამაშის ყველა ის ღირსება, რაც ქართული სცენის კორიფეებს ახასიათებდა: თეატრალური აზროვნების სიცხადე, ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე, სცენიური ენის უბრალოება, როლის გარეგნული სურათის დამთავრებული სახე. ელ. ჩერქეზიშვილის მიერ შექმნილი სახეები ღრმად რეალისტურია და თან თეატრალური ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, არცერთი ყალბი ინტონაცია, გაუმართლებელი მოძრაობა.

სწორად შეუნიშნავს ერთ-ერთ ძველ კრიტიკოსს: „...ამ ახალგაზრდა ქალს ერთი ფრიად კარგი ღირსება აქვს, რომელსაც ყველა შეამჩნევდა, ვისაც კი რამდენჯერმე მაინც უნახავს იგი სცენაზე: სულ პაწია, უმნიშვნელო როლებსაც კი ნიჭის ელფერს დასდებს ხოლმე, ხასიათს დაატყობს და შესამჩნეველს გახდის".

ძნელი იყო ელისაბედის გზა სცენაზე. იმ წლებში, როდესაც მან დაიწყო მოღვაწეობა, ქალისათვის, გარდა ნიჭისა და ხელოვნების სიყვარულისა, საჭირო იყო დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობაც.

ახლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო ქალს შრომისა და შემოქმედების ყველა კარი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში არ არის კუთხე, სადაც არ ჩანდეს ქალის აქტივობა, ჩვენ არ შეგვიძლია განსაკუთრებული სითბოთი და მადლობით არ მოვიგონოთ ელ. ჩერქეზიშვილის საუცხოო ნიჭით შექმნილი ქალთა მშვენიერი სახეები.

დრო არ შეხებია ელისაბედ ჩერქეზიშვილის შესანიშნავ ნიჭს. თავისი სასცენო მოღვაწეობის ორმოცდა მეთერთმეტე წელს ელ. ჩერქეზიშვილი თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნით ხვდება. ჯერ კიდევ დიდი [illegible] პასუხსაგები სამუშაო ელის მას. საბჭოთა მაყურებელი სიხარულით მოელის მისგან ახალ-ახალ სცენიურ სახეებს. ელისაბედ ჩერქეზიშვილი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ იუბილეს დღეს მას მხურვალე სალამს უძღვნიან ჩვენი ქვეყნის ათასობით მშრომელნი, რომლებმაც იციან ნამდვილი ხელოვნების, სცენის საუკეთესო ადამიანთა დაფასება.

ელ. ჩერქეზიშვილი თავისი ნიჭით ქართული თეატრის იმ მოღვაწეებს ეკუთვნის, ვინც რეალიზმის სკოლა შექმნა სცენაზე. მას სამართლიანად ეკუთვნის ღირსეული ადგილი იმათ შორის, ვინც თავისი შრომით კულტურისა და მხატვრული შემოქმედების ამა თუ იმ დარგში ხელს უწყობდა ქართველი ხალხის კულტურული დონის ამაღლებას.

ელ. ჩერქეზიშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე თეატრს შესწირა, მას უფლება აქვს გაიმეოროს რუსული სცენის შესანიშნავი ოსტატის მ. სავინას ცნობილი სიტყვები: „სცენა-ჩემი სიცოცხლეა". ეს სიცოცხლე, ქართული თეატრის ისტორიის ეს ფურცელი ჯერ კიდევ ელის თავის მემატიანეს.

შ. ბუაჩიძე.

ჩვენი ლიზა

1889 წელი. არწრუნის თეატრიდან*) მოვდიოდით. თბილი მთვარიანი ღამე იყო. ჩვენს წინ რამდენიმე ქალი და კაცი მიდიოდა, მათში ერთი უფრო ახალგაზრდა თვალდაჭრული ქალი ერია, მას თავაზიანად ელაპარაკებოდნენ.

ვკითხე ჩემს ძმას სანდროს, ვინ არის აი ის ახალგაზრდა ქალი აბრეშუმის კაბით-მეთქი.

სანდრომ მითხრა: ეს ლიზა ჩერქეზიშვილიაო.

ლიზა იმ ღამეს სარას თამაშობდა „ხანუმაში". ეხლაც მაგონდება და თვალწინ მიდგას ჩიფჩიფით მოლაპარაკე ბებერი დედაკაცი. ასე შევხვდი პირველად ლიზას.

ლიზა იყო ქართული თეატრის მსახიობი, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა „ავჭალის აუდიტორიის" სცენაზე, ამ პირველ მუშათა თეატრში.

ლიზა ჩერქეზიშვილი ნატო გაბუნიასთან, მარიამ საფაროვ-აბაშიძესთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად ეწეოდა მძიმე უღელს. იმ დროს, როცა ქალები, ძალიან მცირე გამონაკლისით, სცენაზე თამაშს სათაკილოდ სთვლიდნენ, ამ დროს ლიზა არამც თუ ავჭალის აუდიტორიაში, არამედ დიდ ქართულ თეატრშიც სათეატრო საქმის ერთი სულისჩამდგმელთაგანი იყო. ლიზას არასდროს არ უთქვამს: „არ მცალიან, დავიღალე, უქეიფოდა ვარ", ლიზა სახალხო თეატრისათვის ყოველთვის დიდი იმედი იყო.

ერთხანს წარმოდგენებს ვმართავდით ა-კ. რკინიგზის „სიფხიზლის საზოგადოების" თეატრშიაც (1903-1905 წ.), სადგურიდან კარგა მოშორებით; სიბნელეში (რკინიგზის ლიანდაგი მაშინ ასე როდი იყო განათებული), წვიმა-ქარბუქში, ლიზა თავისი ვანუშორებელი ბოხჩით გაძვრებოდა ხან ერთი მატარებლის ქვეშ, ხან მეორის და ასე ტანჯვა-წვალებით მივაღწევდით ხოლმე თეატრის შენობას. უნდა ითქვას, რომ ამ მომქანცველ მუშაობაში სასყიდელს არავინ იღებდა.

ვისაც უნახავს ძველი ქართული თეატრი და იცნობს ლიზას შემოქმედებას, მან იცის, რომ ლიზა თავის ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე იყო დიდი მსახიობი, მსახიობი სხვადასხვა ჟანრისა. ახლა მის ლეკურს არ იკითხავთ! სადაც კი გაიმართებოდა დიდი „სალამო-მეჯლისი საქველმოქმედო მიზნით, ლიზა უეჭველად იქ იყო მიწვეული და დაუვლიდა ლეკურს, მაგრამ რას ვამბობ: კი არ დაუვლიდა, ეს იყო ოქროს თევზი, წყალში მოსრიალე.

ეჰ მახლოს, სიბერეს რა ვუთხრა!

თუმცა ლიზა ჯერ კიდევ სიბერეს არა გრძნობს და ისევ ხალისიანად ემსახურება თავის საყვარელ თეატრალურ საქმეს!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ სცენაზე ლიზას მოღვაწეობის 50 წლისთავს. ვინც კი ცოტათი მაინც ჩაუფიქრდება ამას, ის უეჭველად გულწრფელ მადლობას ეტყვის იმ ადამიანს, რომელმაც მთელი ნახევარი საუკუნე იმუშავა ქართველი ხალხის კულტურული დონის ასამაღლებლად.

ნიკო გოცირიძე

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ორდენოსანი

---

*) არწრუნისეული თეატრი, სადაც იმართებოდა ქართული წარმოდგენები (ახლანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრი კომინტერნის ქუჩაზე).

სიცილი

სიცილთან არის დაკავშირებული ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელი.

და ეს სიცილი არის ჯანსაღი, აზრიანი:

აშარი დედაკაცები, ფუქსავატი კეკელები, ქორიკანები, ზოგჯერ თითქოს სათნო, მაგრამ ჭკუამხიარული მანდილოსნები — აი ვინა ჰყავს ელისაბედის მახვილ ნიჭს ყბად აღებული უმთავრესად და ვისი სახეებით გვაცინებს ეს 50 წელიწადია.

გვაცინებს და გვაფიქრებს, გვწკეპლავს მისი ხალასი ნიჭით, მაგრამ ვითმენთ, რადგან სიმართლეს ვერსად გავექცევით და ეს სიმართლე გვიპყრობს.

სახალხო არტისტი ჩერქეზიშვილი დამპყრობელია, იმიტომაც შერჩა მას ასე ხანგრძლივად პირველობა კომიკურ როლებში.

ის დღესაც მოუწყინარია, შემოქმედებითი პოტენციით აღსავსე და ჩემი სურვილია ჩვენ, დრამატურგებმა, მოვახერხოთ ისე, რომ პატივცემულ და სასახელო მსახიობ-ქალს ჩვენს პიესებში გაუჩნდეს ახალი როლი ახალი ცხოვრების წარმომადგენლისა.

ეს იქნება ჩვენი ძღვენი და ჩვენი მადლობა ქართული სცენის ამ საუცხოო ოსტატის წინაშე.

შალვა დადიანი.

ელ. ჩერქეზიშვილი და ვასო აბაშიძე პითხულოვის პიესას

დოდო ანთაძე

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

სახალხო არტისტი

ქართული თეატრი და საბჭოთა საზოგადოებრიობა დღეს ზეიმობს რესპუბლიკის სახალხო არტისტ ე. ჩერქეზიშვილის 50 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველი ნახევარი ე. ჩერქეზიშვილმა ძველ, რევოლუციის წინადროინდელ ქართულ თეატრში გაატარა. მან გადაიტანა მრავალი გაჭირვება, მატერიალური და მორალური, დაამსხვრია ძველ, დამყაყებულ ტრადიციათა ბორკილი, არ შეუშინდა ე. წ. „საზოგადოებრივ აზრს", „მაღალი წრის" დამამცირებელ შეხედულებას მსახიობ ქალზე. ყველა ამ დაბრკოლებას სძლია ე. ჩერქეზიშვილმა.

იგი პირველადვე მოხვდა ჩვენი მშობლიური სცენის დიდი კორიფეების შემოქმედებითს ატმოსფეროში. ჩვენი სცენის მოელვარე ვარსკვლავები: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, კ. მესხი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ლ. მესხიშვილი,—აი ის დიდი მხატვრები, რომლებთან ერთად ჰკაფავდა ე. ჩერქეზიშვილი ქართული თეატრის განვითარების ეკლიან გზას. ამავე დროს იგი ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას სხვა დარგებშიც, ათავსებდა თავის მოგონებებს და პატარა მოთხრობებს იმდროინდელ მოწინავე ჟურნალ-გაზეთებში. მას, როგორც ლიტერატურულ მუშაკს, მთელი რიგი ვოდევილებისა და მოთხრობების ავტორს და მსახიობს, ხშირი შეხვედრები ჰქონდა ილიასთან, აგრეთვე ჩვენს სხვა დიდ მწერლებთან.

დიდ ნიჭთა გარემოცვამ, ხალხის მასების სიყვარულმა მშობლიური თეატრისა და მსახიობისადმი, საკუთარმა დიდმა, უტყუარმა ნიჭმა, ხელოვნების ჭეშმარიტმა სიყვარულმა საქმით, და არა ფრაზით,—ყოველივე ამან მისცა ძალა ე. ჩერქეზიშვილს შებრძოლებოდა მაშინდელი ცხოვრების უკუღმართობას და შეულახველად მიეტანა ახალ, სოციალისტურ ეპოქამდე დიდი, ნიჭიერი მსახიობის სპეტაკი სახელი.

1926 წელს 40 წლის მოღვაწეობის იუბილეზე, საბჭოთა ხელისუფლებამ და საზოგადოებრიობამ ღირსეულად შეაფასეს ე. ჩერქეზიშვილის ღვაწლი და დააჯილდოვეს იგი რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელით.

ე. ჩერქეზიშვილი დღემდე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მუშაობს, ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველთვის მაგალითის მიმცემი იყო ახალგაზრდობისათვის დისციპლინის დაცვის, კოლექტიური ეთიკის განმტკიცების და თეატრის მხატვრული შემოქმედებითი ზრდის საქმეში.

დაუვიწყარია 1933 წ. 12 იანვარი, როდესაც პირველად, ახლად აღდგენილ „მზის დაბნელებაში" კოტე მარჯანიშვილი გამოვიდა ე. ჩერქეზიშვილთან ერთად მეორე მოქმედების მასობრივ სცენაში. კოტეს შავი მოსასხამი ეცვა, ფართო „შლაპა" ეხურა და ულვაშები ჰქონდა გაკეთებული. ელისაბედმა მოულოდნელად, მოურიდებლად მოაძრო კოტეს ულვაშები, მოხადა ქუდი, ხალხმა იცნო კოტე და მხურვალე ოვაცია გაუმართა ჩვენი სცენის ორ დიდ ოსტატს.

ჭეშმარიტმა ხელოვნებამ არ იცის სიბერე!

ე. ჩერქეზიშვილისათვის უცხოა სიმშრალე, ერთფეროვნება, მისი ამპლუა—სახასიათო როლებია, განსაკუთრებით კომიკური მოხუცებული ქალები. ამ მხრივ იგი განმგრძობია და განმავითარებელი ნატ. გაბუნია-ცაგარლის სცენიური სახეებისა და თავისებური თეატრალური სტილის შემქმნელი. ე. ჩერქეზიშვილის ყოველ როლს აქვს თავისი, განუმეორებელი ხასიათი და ამავე დროს ყველა მის მიერ შესრულებულ როლს აზის ე. ჩერქეზიშვილის საკუთარი შემოქმედებითი მეობის ბეჭედი. მისი სახასიათო მხატვრული სახეები მრავალფეროვანია, მეტწილად კომიკური, მაგრამ მის მიერ შექმნილ სახეების გალერეაში არის დრამატიული ტიპებიც.

ე. ჩერქეზიშვილის სცენიური ოსტატობა თავისუფალია ყოველგვარი გადაჭარბებისა, ფორმალიზმისა და ექსცენტრიკისაგან, იგი ყოველთვის ჯანსაღია და რეალისტური. აქ იგი ჩვენი სცენის დიდი კორიფეების ღირსეული თანატოლია. ამიტომ სარგებლობს ე. ჩერქეზიშვილი საბჭოთა მაყურებლის დიდი სიყვარულით. სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა ე. ჩერქეზიშვილს ახალი შემოქმედებითი იმპულსი, ძალა ახალ-ახალი სახეების შესაქმნელად.

დიდი ხანი არ არის, რაც მან მოიპოვა მორიგი დიდი გამარჯვება „იცკა რიჟინაშვილში" სიფორიას სახის შექმნით. სიფორია ე. წ. „პატარა" როლია. მაგრამ ე. ჩერქეზიშვილის მიერ ამ როლის შესრულება კიდევ ერთხელ ამტკიცებს კ. სტანისლავსკის სიტყვების სიმართლეს:

„არ არსებობს დიდი და პატარა როლები, არსებობს მხოლოდ დიდი და პატარა მსახიობი".

ამ როლში ე. ჩერქეზიშვილს მკაცრად აქვს დაცული ზომიერების გრძნობა, მხატვრული ტაქტი, რაც ყოველთვის დიდ ოსტატებს ახასიათებს.

რამდენიმე ფრაზით, რამდენიმე ძუნწი ჟესტით გვისახავს იგი „ცოცხალ ჭორს", ყველას ფეხის ამყოლს, გზააბნეულ მოხუც სიფორიას, ესოდენ სასაცილოს და თან საბრალოს თავისი შინაგანი უმწეობით.

სულ სამი პატარა გამოსვლით ე. ჩერქეზიშვილი ჰქმნის დიდ მკვეთრ სცენიურ სახეს, აღსავსეს სპეციფიური კოლორიტით და შეუდარებელი იუმორით.

ვუსურვებთ ძვირფას იუბილიარს კიდევ მრავალ ახალ შემოქმედებით გამარჯვებასა და სიხარულს.

◆

ფერმა, სადაც შრომა მოუწესრიგებელია

(ყვარელი „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

წლიურ ანგარიშში ყველა ციფრი თავთავიანთ ადგილზეა ჩასმული. კითხულობ მას და თითქოს კმაყოფილი რჩები მიღწევებით.

— ჩვენი ფერმა სანიმუშოა მთელს რაიონში.

— სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ.

— ღორის სულადობა შარშან გეგმით მოცემულ 685-ის ნაცვლად 881-მდე გავზარდეთ.

— კოლმეურნეებს ფერმიდან 164 გოჭი გადავეცით.

— ხორცის ჩაბარების ვალდებულებაც დროზე მოვიხადეთ.

კმაყოფილებით იძლევიან განმარტებას კოლმეურნეობის ხელმძღვანელები. რაიმიწგანისა და მტს-ის მუშაკებიც ამ აზრის არიან. მაგრამ როცა საუბარს მათ საქმის არსებით მხარეზე დაუწყებთ, ისინი კვლავ წლიური ანგარიშის პარაგრაფებს, მუხლებსა და ციფრებზე მიგითითებენ, ხოლო ამ ციფრებს იქით ველარაფერს ამჩნევენ.

საქმე იმაშია, რომ ყვარლის რაიაღმასკომმა კოლმეურნეობა „დურუჯის" მეღორეობის ფერმას შარშან ფორმალური გეგმა მისცა. წლის დასაწყისში ფერმას სულ სხვადასხვა ჰასაკის 662 ღორი ჰყავდა. წლიური გეგმა კი აქ იმგვარად შეადგინეს, რომ იგი ფერმის 23 სულით გაზრდას ითვალისწინებდა.

კოლმეურნეობის გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ ამხ. ი. ჯალალიშვილმა, რომლებმაც ადვილად შესძლეს ამ არარეალური — მცირე გეგმის გადაჭარბება, არ მიიღეს საჭირო ზომები მეღორეობის ფერმაში შრომის სწორად მოწყობისათვის, სავალდებულო ზოოვეტერინარული წესების მტკიცედ გატარებით სიკვდილიანობის შემცირებისა და პროდუქტიულობის აწევისათვის.

შარშან ფერმაში 161 ღორმა 955 გოჭი მოიგო და ცუდი მოვლით მთელი ნამატის 17 პროცენტზე მეტი დაიხოცა. დიდად შემცირდა ძირითადი ჯოგის სულადობაც.

საქმისადმი მსგავსი უყურადღებო დამოკიდებულება აქ ახლაც გრძელდება. უკანასკნელ ორ თვეში მიმდინარე წლის პირველ იანვართან შედარებით ღორის სულადობა 8,4 პროცენტით შემცირდა.

კოლმეურნეობა „დურუჯის" მეღორეობის ფერმაში მოუწესრიგებელია შრომა — უხეიროდაა განაწილებული ძალები, ადგილი აქვს გაუპიროვნებას, ცუდად არის გატარებული სანარდო სისტემა.

ფერმაში ამჟამად ორი ბრიგადაა გამოყოფილი. თვითეულ ბრიგადაში 4 მეღორე და 1 დამგველი მუშაობს (დამგველის თანამდებობა არც კი უნდა არსებობდეს).

პირველ ბრიგადას, რომელსაც სიმონ ლონიაშვილი ხელმძღვანელობს, სხვადასხვა ჰასაკის 502 სული ღორი ჰყავს. თვითეულ მომვლელზე საშუალოდ 125 ღორი მოდის, მათში 36 მარტო დედალორი. მეორე ბრიგადა კი (ბრიგადირი ი. ქანდაურიშვილი) პირველ ბრიგადასთან შედარებით ნაკლებად დატვირთულია. მას ჰყავს სულ 305 ღორი. ბრიგადის თვითეულ წევრზე მოსავლელად საშუალოდ 76 ღორი მოდის.

წესით იმ ბრიგადაში, რომელშიაც 21 დედალორზე მეტია, უნდა მოეწყოს ჯგუფები და პირუტყვი ცალკე მომვლელებზე გაპიროვნდეს. თვითეული მწყემსის შრომის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ შეასრულებს მიცემულ საწარმოო დავალებებს. კოლმეურნეობა „დურუჯში" ეს წესიც დარღვეულია.

მაკე და მშრალი დედალორები, კერატები და ბურვაკები ერთ ჯოგშია გაერთიანებული და მას მწყემსები მორიგეობით უვლიან. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ღორის ან გოჭის სიკვდილის შემთხვევაში კონკრეტულ დამნაშავეს ვერ პოულობენ და არც არავინ სთხოვს მათ პასუხს.

ფერმას მიცემული აქვს გამომუშავების ნორმები. ჯოგურ პირობებში როგორც ადგილობრივი, ისე გაუმჯობესებული ჯიშის კერატით თვითეული ღორის დაგრილება შეფასებულია 3 შრომადღეთ. ყოველ ახალდაბადებულ გოჭზე უწერენ ერთს, ხოლო როცა ის ორნახევარი თვის გახდება — 1,2 შრომადღეს. ძირითად ჯოგში გადარიცხვისას ნამატის ყოველი ცენტნერი (ცოცხალი წონით) შეფასებულია 3 შრომადღეთ. სამუშაოთა ამ შეფასების მიხედვით შრომადღეები აქ ეწერება მთელ ბრიგადას და თვის ბოლოს მას ბრიგადის წევრებზე თანასწორად ანაწილებენ, რაც არ არის სწორი.

შრომადღეების დარიცხვის დროს მხედველობაში არ ღებულობენ ნამუშევრის ხარისხს (სიმსუქნე, ნამატის შენარჩუნება და სხვ.). არ არის შემოღებული ნატურალური დაჯილდოვების წესი. დედალორის ბერწად დარჩენისა, ნამატის სიკვდილისა და მისი ცუდად მოვლისათვის არავის არ აჯარიმებენ.

ბრიგადირებს — იოსებ ქანდაურიშვილსა და სიმონ ლონიაშვილს საწარმოო დავალებათა შესრულების გაუთვალისწინებლად დამატებით უწერენ მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების 15 პროცენტს. რაც შეეხება საღორეების დამგველებს — ჯასპო და თამარ ლონიაშვილებს მათ მოჭრით ეწერებათ თვეში 20-20 შრომადღე.

კოლმეურნეობა „დურუჯის" მეღორეობის ფერმას ჰყავს საკუთარი ზოოტექნიკოსი შაქრო კაპრაშვილი, მაგრამ იგი „ვერ ამჩნევს" ამ უწესრიგობას. მეღორეები არ არიან ჩაბმულნი ზოოვეტტექნიკის დაუფლების წრეებში. მეღორეებს იშვიათად ისწრებენ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, არ უწევენ მათ სათანადო დახმარებას შეშის მოზიდვისა და საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში. არ აქვთ პირველადი დახმარების აფთიაქები.

○

სოფ. ყვარლის კოლმეურნეობა „დურუჯმა" მესაქონლეობიდან შარშან 81.780 მანეთის შემოსავალი მიიღო. კოლმეურნეობის გამგეობას რომ ურყევად გაეტარებინა სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება — სწორად მოეწყო შრომა მეღორეობის ფერმაში და სათავეში ჩასდგომოდა სტახანოვური მოძრაობის გაშლას, ეს შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა.

1937 წლის გეგმის შედგენის დროს შარშანდელი გაკვეთილები მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული. ყვარლის რაიონულ ორგანიზაციებს ამ მხრივ მეტი მუშაობის გაწევა მოუხდებათ, რადგან „დურუჯის" მაგალითი გამონაკლისი არ არის.

ყვარლის რაიმიწგანის გამგემ ამხ. ტალახაძემ უნდა შეიგნოს, რომ მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მუშაობაზე პირველ რიგში ის აგებს პასუხს.

ტ. აცანელი

სარაიონო ცენტრის კეთილმოწყობისათვის

საქართველოს სარაიონო ცენტრების ყოველმხრივ კეთილმოსაწყობად და მოსახლეობისათვის სათანადო კულტურული პირობების შესაქმნელად დიდი მუშაობაა გაწეული. მეორე ხუთწლედის 4 წელში მარტო კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხაზით კომუნალურ და საბინაო მშენებლობაზე იმ სარაიონო ცენტრებში, რომლებიც ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებს არ ეკუთვნიან, დაბანდდა 16.449.500 მანეთი, 1937 წელს დაბანდდება 7,3 მილიონი მანეთი, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე ამ რაიონების კეთილმოწყობაზე დახარჯულია 30 მილიონ მანეთზე მეტი, ე. ი. საშუალოდ თვითეული რაიონის ცენტრის კეთილმოწყობაზე დახარჯულია თითქმის ერთი მილიონი მანეთი.

ამ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებათა შედეგად ძველი სოფლები დღეს კულტურულ და პოლიტიკურ კერებად გადაიქცნენ. დღეს 30 რაიონის ცენტრში უკვე მოქმედებს 11 წყალსადენი, 6 აბანო, 15 სასტუმრო, 29 ელსადგური. გარდა ამისა, სარაიონო ცენტრებში მშენებლობის პროცესშია და მალე ამუშავდება: 10 წყალსადენი, 26 აბანო, 6 სასტუმრო, 9 ელსადგური.

ეჭვს გარეშეა, სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობასთან და მოსახლეობის კულტურულ ზრდასთან დაკავშირებით, სარაიონო ცენტრების კეთილმოწყობის საქმე მესამე ხუთწლედში უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება.

საქართველოს სარაიონო ცენტრები კულტურულად, სუფთად და ლამაზად უნდა გამოიყურებოდნენ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხშირად, მიუხედავად მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებისა, ზოგი სარაიონო ცენტრი მაინც ძველებურად, კეთილმოუწყობლად გამოიყურება, იქ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საერთო საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ყველა დასახლებულ ადგილს.

რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები გატაცებული არიან ახალი ობიექტების (აბანო, წყალსადენი, სასტუმრო, ელსადგური) მშენებლობით, საამისო ნებართვის მიღებისა და მისი დაფინანსების საკითხებით, არ ზოგავენ არც დროს, არც ენერგიას მათი მშენებლობისას, მაგრამ საკმარისია წყალსადენის, აბანოს ან ელსადგურის ექსპლოატაციაში გადაცემა, რომ ამ ამხანაგებმა ზურგი შეაქციონ დამთავრებულ მშენებლობებს. ერთხელაც აღარ დაინტერესდებიან იმით, თუ როგორ მუშაობს და რამდენად კარგად ემსახურება რაიონის კომუნალური წარმოება ადგილობრივ მოსახლეობას, ერთხელაც აღარ დასვამენ საკითხს, თუ რა პირობებში უხდებათ მუშაობა რაიონში უკვე არსებულ კომუნალურ წარმოებებს და სხვ.

მხოლოდ ამ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სარაიონო ცენტრის მოსახლეობას აბანო, წყალსადენი და ელსადგური სათანადო მომსახურებას ვერ უწევენ.

ხშირად ადგილობრივი მუშაკები სარაიონო ცენტრის უმწეო მდგომარეობას სახსრების უქონლობით ასაბუთებენ, მაგრამ ამ მიზეზის გასაბათილებლად საკმარისია მოკლედ აღვნიშნოთ, თუ რა ჰქმნის ხშირად რაიონის ცენტრის უმწეო მდგომარეობას.

ერთადერთ ქუჩაზე (ლაგოდეხი, ჩხოროწყუ), რომელიც შუაზე სჭრის სარაიონო ცენტრს, დაყრილია უზარმაზარი ქვები, ნაცარი, ეზოებიდან გამოზიდული ნაგავი და სხვ. ქუჩის ორივე მხარეს ძველი, ნახევრად დამპალი ღობეები „ამშვენებს", ჰიშკრებზე ჭუჭყიანი ძონძები ჰკიდია, ქუჩის ორივე მხარეზე წყლის არხები გაბინძურებულია, ალაგალაგ არხების ნაპირები მინგრეულ-მონგრეულია; ახლად გაშენებული პატარა ბაღი უყურადღებოდაა მიტოვებული და საცოდავად გამოიყურება, შიგ ერთი სკამიც არ არის, სამაგიეროდ ღორები დარბიან; მაღლობებიდან რაიონის ცენტრში რამდენიმე რუ ჩამოდის და რადგან მათთვის კალაპოტის მიჩენაზე არავის უფიქრნია, წყალი მოედანს რამდენიმე ადგილას ატალახებს; ნახმარი გაბინძურებული წყალი რაიონის აბანოდან პირდაპირ ქუჩაშია გადმოშვებული (დუშეთი, ლაგოდეხი).— აი ბევრი ჩვენი რაიონის ცენტრის სტანდარტული სურათი.

ზოგან კი წუწუნებენ: „ფული არა გვაქვს, რა ვქნათო". განა დაუძლეველია ჩვენთვის ყველა ამ დეფექტის სრული აღმოფხვრა, განა შეიძლება მათი არსებობის გამართლება სახსრების უქონლობით, ან ადგილობრივი ბიუჯეტის სისუსტით? ეს მხოლოდ „ობიექტიური მიზეზია" და მეტი არაფერი. ცხადია, რაიონის ცენტრს ყოველმხრივ მხოლოდ ენერგიული მუშაობა გააჯანსაღებს.

რაიონების მუშაკებმა დიდი და ენერგიული მუშაობა უნდა გააჩაღონ რაიონის ცენტრის სახის ისე შესაცვლელად, რომ იგი შეესაბამებოდეს გამარჯვებული სოციალიზმის სტილს და ბუნებას, გამოხატავდეს აყვავებული ქვეყნის სოფლის მშრომელთა ლამაზ, კულტურულ ცხოვრებას.

ვლ. ორჯონიკიძე.

საქ. კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატის საგეგმო სამმართველოს უფროსი.

◇ ◇ ◇

უმსგავსოებანი უნივერმაღში

უნივერსალური მაღაზიის (ქორესის ქ. № 7) გახსნას თბილისის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მოლოდინი არ გაუმართლდათ. მაღაზიის გარშემო შემოიკრიბნენ სპეკულანტები და პატიოსან მომხმარებლებს საშუალებას არ აძლევენ თავისუფლად ივაჭრონ.

დილაადრიან მაღაზიის კართან რიგში დგებიან გადამყიდველები, უნივერმაღიდან გამოტანილ საქონელს რომ მამასისხლად ჰყიდიან, მშრომელ მოსახლეობას რომ უსინდისოთ ატყუებენ. იმართება აურზაური, შეხლა-შემოხლა. ხულიგნები და ჯიბგირები უწმაწური სიტყვებით იგინებიან.

გაიღება თუ არა მაღაზიის კარი, აგორდება ხალხის ტალღა და იწყება ჯგლეთა. ამ მომენტით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც ორთითობას ეწევიან. — „ვაიმე, ფული ამომაცალეს, პალტო გამიჭრეს, ტანისამოსზე ღილები დამაწყვიტეს", --- გაიგონებთ რიგში მყოფთაგან.

ამ უმსგავსოებას მილიცია და პროკურატურა უბრალო მაყურებლის თვალით უცქერიან, ყურადღებას არ აქცევენ. სავაჭრო ინსპექციის მუშაკებმა მილიციას სპეკულანტები რამდენჯერ წარუდგინეს, რამდენჯერ სთხოვეს დაგვეხმარეთ, მიიღეთ შესაფერისი ზომებიო, მაგრამ ვითომც კედელზე ცერცვი შეგვეყაროთ, თითქოს მილიციას ჯიბგირებისა და სპეკულანტებისა ეშინიათო, არავითარ ზომებს არ ღებულობენ, არ იცავენ წესრიგს და, რიგებში რომ უკმაყოფილებაა, ამას გულგრილად შეჰყურებენ.

მაგალითად, გარეგინ გერასიმეს-ძე ანტონიანი (მცხოვრები ჩერქეზოვის ქ. № 62) ჯიბგირობისათვის რამდენჯერმე შეიპყრეს, მილიციას გადასცეს, მაგრამ ყოველთვის, სანამ გამყოლი მილიციიდან დაბრუნდებოდა, ჯიბგირი ანტონიანი ისევ მაღაზიაში იყო.

ლუკერია ვასილის-ასული იონიჩი (ბოშა ქალი) 30-ჯერ მაინც გაიგზავნა მილიციაში, მაგრამ იქ მაშინვე ათავისუფლებდნენ.

სპეკულანტებს თუ არ სდევნიან, რატომ შოთა გერასიმეს-ძე ადეიშვილმა (ბაქოს ქუჩა № 4) არ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ შემოსავლიან საქმეს? ისიც სისტემატურად ვაჭრობს, ხან საქონელი გამოაქვს, ხან ჩეკები და მუდამ უნივერმაღში დატრიალებს. ერთხელ ცეცხლის მქრობელი რაზმის თანამშრომელი ნარიკაევი გაკადნიერდა და მოუწოდა მას წესრიგისაკენ. ადეიშვილმა მას მაგრად სცემა, მილიციონერს შეურაცყოფა მიაყენა. შეიპყრეს, მილიციაში წარადგინეს, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ გაათავისუფლეს და ადეიშვილმა კვლავ უნივერმაღში ამოჰყო თავი.

შოთა სიმონის-ძე მაჭავარიანმა (კლარა ცეტკინის ქ. № 48) გაიძახოდა: დამიმტკიცეთ, რომ მე სპეკულანტი ვარ, მიჩვენეთ ფაქტიო. როცა დანაშაულზე წაასწრეს, გაიქცა. ჩითი, რომელსაც ჰყიდდა, უნივერმაღში მიატოვა.

სანდრო კევლიშვილს მიასწრეს, როცა თამარ ციცქიშვილს ტუფლები მიჰყიდა. არაფრად ესიამოვნა, მაგრამ რას იზამდა. როცა გაიგო, რომ მილიციაში ჰგზავნიდნენ, გაეხარდა, იცოდა მათი გულკეთილობის ამბავი. მართლაც ჩქარა დაბრუნდა კევლიშვილი მილიციიდან.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ რაიონის მილიციისა და პროკურატურის ორგანოები თავიანთი დანაშაულებრივი დაუდევრობით ხელს უწყობენ გადამყიდველებსა და სპეკულანტებს. უნივერმაღის ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები ვერ მიიღო სპეკულანტების წინააღმდეგ, რომ მაღაზიაში ნამდვილი კულტურული ვაჭრობა დაემყარებინა. ჯიბგირების, ხულიგნებისა და სპეკულანტებისათვის უნივერმაღის კარი უნდა დაიხუროს.

რამდენიმე სიტყვა უნივერმაღის თანამშრომლებზე. შემჩნეულია, რომ რამდენიმე გამყიდველი თავის მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებს, ნაცნობებისა და მეგობრებისათვის ზოგჯერ შემონახული აქვთ მათ მიერ დაკვეთილი საქონელი და სხვ. ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ამიტომ უნივერმაღის დირექციამ გულდასმით უნდა შეისწავლოს თავისი კადრები და გააძევოს მაღაზიიდან საეჭვო ელემენტები.

მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა თავი უნდა დააღწიონ სპეკულანტებისადმი ლმობიერ დამოკიდებულებას. ნაცვლად მომაგრებულ ლადო ხუციშვილისა, რომელიც უნივერმაღში სპეკულანტების გავლენის ქვეშაა მოქცეული და რომელიც სავაჭრო ინსპექციას არავითარ დახმარებას არ უწევს, მილიციამ უნივერმაღზე უნდა მიამაგროს ფხიზელი და ენერგიული მუშაკები.

გამოვავლინოთ და სასტიკად დავსაჯოთ უნივერმაღის გარშემო შემოკრებილი სპეკულანტები, ჯიბგირები, პატიოსან მომხმარებელს რომ საქონლის ყიდვის საშუალებას არ აძლევენ, და სასტიკად დავსაჯოთ ისინი. სხვა გზა არ არსებობს.

მაღაზიის დირექციამ, სავაჭრო ინსპექციამ, პროკურატურამ და მილიციამ ზემონათქვამიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

შ. ბერეთელი.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტში

საიუბილეო დეკადა დაიწყება 29 მაისს

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც ამხ. ქ. ჭკუასელის თავმჯდომარეობით შესდგა, მიღებულ იქნა დადგენილება ილიას საიუბილეო დღესასწაულის მაისში გადმოტანის შესახებ. ილიას საიუბილეო დეკადა, კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაიწყება 29 მაისს და გასტანს 8 ივნისამდე.

ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა გადასინჯოს იუბილესათვის მზადების გეგმა და ისე მოაწყოს თავისი მუშაობა, რომ დიდი მწერლის დღეები ღირსეულად აღინიშნოს.

საიუბილეო დეკადისათვის გადაწყვეტილია ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის გამოცემა. დანარჩენი 4 ტომი შემდეგ თვეებში გამოვა. ილიას აკადემიური ბიოგრაფიის დამმუშავებელ კომისიას წინადადება მიეცა დაჩქარებით შეუდგეს მუშაობას და 10 მაისისათვის კომიტეტს წარუდგინოს ბიოგრაფიის საბოლოოდ დამუშავებული ტექსტი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს დავალებული აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოებისა და მოხსენებების მოწყობას როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში.

საიუბილეო დეკადის დასაწყისისთვის გადაწყვეტილია დამთავრდეს ობელისკის აგება წიწამურში იმ ადგილზე, სადაც მოჰკლეს ილია. ამავე დროისათვის გადაწყვეტილია გამოიცეს რუსულ ენაზე ილიას ნაწარმოებთა უკვე არსებული თარგმანები. სახკინმრეწვს დავალებული აქვს სასწრაფოდ შეუდგეს კინო-ქრონიკის გადაღებას ილიას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, იმ ვარაუდით, რომ კინოქრონიკის დემონსტრაცია შესაძლებელი გახდეს საიუბილეო დეკადის დღეებში.

კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ქ. ჭკუასელს დაევალა აღძრას სათანადო ორგანოებში საკითხი, რათა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას ილიასეული სახლი სოფ. ყვარელში.

◇

პრესტესის პროცესი

ნიუ-იორკი, (საქდესი). გაზეთმა „კორეიო და მანიამ", რომელიც რიო დე-ჟანეიროში (ბრაზილია) გამოდის, მოათავსა ცნობა ბრაზილიელი რევოლუციონერის პრესტესის პროცესის შესახებ. ამ ცნობამ ბრაზილიის ცენზურა გაიარა. პროცესზე პრესტესი მკაცრად ილაშქრებდა იმ წამებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ბრაზილიის საპატიმროებში პოლიტიკური პატიმრებისადმი მიმართავენ. პრესტესი მიცემულია პასუხისგებაში „არმიიდან დეზერტირობის" ყალბი ბრალდების გამო.

როდესაც პროცესის დაწყების შემდეგ ერთერთმა მოსამართლემ განუცხადა პრესტესს, ომ დამცველის არჩევის უფლება, გაქვსო. პრესტესმა უპასუხა: „მე საერთოდ არ ვიცი, თუ რა ხდება აქ". მოსამართლემ განუმარტა პრესტესს, რომ იგი სასამართლოს წინაშე იმყოფება. პრესტესმა განაცხადა:

„მთელი წელიწადია ვიმყოფები პატიმრობაში, გარეშე მსოფლიოსთან ყოველგვარ კავშირს მოკლებული, პოლიციის ტერორის ატმოსფეროში. სანამ ვექილს ავირჩევდე, უნდა ვიცოდე, თუ რა მბრალდება".

„კორეიო და მანიას" სიტყვით, პრესტესმა დაკითხვის დროს განაცხადა: „მე კომუნისტი ვარ და ნაციონალური განთავისუფლების კავშირის ხელმძღვანელი".

„ასეთ მდგომარეობაში, — განაგრძობს პრესტესი, — მე არ შემიძლია ავირჩიო ვექილი, რომელსაც ვენდობი, ვინაიდან ის ადამიანები, რომლებსაც ავირჩევდი კომპრომიტირებული იქნებოდნენ. აი მაგალითი სენატორ ჩერმონტისა, რომელიც, საპარლამენტო ხელშეუხებლობის მიუხედავად, დააპატიმრეს იმისათვის, რომ გამოვიდა იმ ადამიანთა სასარგებლოდ, რომლებსაც კომპარტიის წევრობა ბრალდებოდათ. ჩერმონტი მოათავსეს საპატიმროში, სადაც იგი საშინელებასა და შეურაცყოფას განიცდიდა".

პრესტესმა, სწერს შემდეგ გაზეთი, აწეული კილოთი იწყო ლაპარაკი იმ წამებაზე, რომელსაც ასობით დაპატიმრებული მეზღვაურები და ჯარისკაცები განიცდიან. აქ მას სიტყვა შეაწყვეტინა ერთერთმა მოსამართლემ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ პრესტესი ძალიან ენერგიულად გამოდიოდა და რომ ვერცერთი მოსამართლე ვერ ბედავდა სხდომის დროს მისთვის თვალებში შეეხედა.

პოლიციის ერთერთმა წარმომადგენელმა გაზეთის თანამშრომელს აცნობა, რომ საპატიმროში პრესტესს აკრძალული აქვს გაზეთებისა და წიგნების კითხვა. ციხის დარაჯები თვალყურს ადევნებენ პრესტესის ყოველ ნაბიჯს საკანში და მის ყოველ სიტყვას იწერენ სპეციალურ წიგნში, რომელიც შემდეგ გადასათვალიერებლად ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცემენ ხოლმე.

გაზეთი ათავსებს სურათს. ამ სურათზე გამოხატულია პრესტესი, რომელიც სასამართლოს შენობაში მიჰყავთ. ერთერთ დარაჯს ავტომატური თოფი უჭირავს.

◇ ◇ ◇

კოლხეთში 4000 წლის წინათ

სამეგრელოს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილება უთუოდ მდიდარია, მაგრამ იგი ერთი-ორად გაამდიდრა იმ ახალმა გათხრამ, რომელიც გასული წლის სექტემბერში დამთავრდა და რომელმაც მუზეუმს სამოციოდე ყუთი მნიშვნელოვანი სხვადასხვა ექსპონატები შესძინა.

გათხრა მიმდინარეობდა ოდესღაც ძველ კოლხიდაში ქალაქად ცნობილ ანაკლიას (ჰერაკლეას) უკან მდებარე ყორღანებით ამართულ ბორცვებზე. გათხრის დაწყების მიზეზი გახდა ერთი კოლმეურნის მიერ ხვნის დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ძველთა-ძველი ნაჯახი.

მუზეუმს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

სულ გათხრილ იქნა 21—20 მეტრი ფართობი 7 მეტრის სიღრმეზე.

აღმოჩენილია ორმოცამდე 8-კუთხიან და 4-კუთხიან ბოძებზე მდგარი სახლი, დიდძალი ნახშირი, წისქვილის დიდი ქვები ყველა ფენაში, კერამიკა სხვადასხვა ფენაში სხვადასხვა რაოდენობით და სხვადასხვა სახისა და ფორმისა: გაუთლელი და გათლილი ხის ბოძები, საძირკვლები, ჯობები, ხონჩები, კოვზები, ტაბაკები, კვერისტავები. სამკაულად ხმარებული ბრინჯაოს ქინძისთავები, ორპირიანი ვერძისთავები, ლოგინად ნახმარი ბალახ-მცენარეები (ცვიმრა-ლაქაში და სხვ.), თიხის ჭურჭლები; ღომის მარცვალი დიდი რაოდენობით, ფეტვი, ჭვავი, წიწიბო, რკო, წაბლი და თხილი; ბრინჯაოსა და სპილენძისაგან ნაჭედი იარაღები; კაჟის ხერხები, შუბები, ისრები, საფხეკები, დანები, ქვის ნაჯახი, სატეხი, თოხები. ძვლის სადგისი, ტყავის საფხეკი სამკაულები, ქინძისთავები, ჭურჭლეული თიხისა, ვაზები, ქოთნები, ჭიქები (ქილები), ქვაბები, ქვევრები, ქვის ყალიბები სხვადასხვა იარაღების ჩამოსასხმელად, მაგალითად, წალდის, თოხის და სხვ. რაც ძლიერ საყურადღებოა, ვინაიდან ასეთი რამ ჯერ არცერთი გათხრის დროს არ აღმოჩენილა ჩვენში და საერთოდ კავკასიაში. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად აღნიშნულ თიხის ჭურჭლებიდან ორმოცამდე სხვადასხვა ჭურჭელი მთლიანად აღდგენილია.

აღსანიშნავია აგრეთვე ხანძრის ნაშთები. როგორც ირკვევა ეს უბანი გადამწვარა, რასაც ამტკიცებს უამრავი დამწვარი ნივთები და გადაბუგული ბოძები.

ამ გათხრით დღემდე აღმოჩენილი ნივთები ევროპული გამოანგარიშებით 4000 წლამდე აღწევს, ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლის წინათ ძველი კოლხეთის კულტურული მოსახლეობა ამ ნივთებითა და სახლებით სარგებლობდა.

ხ. ცაიშვილი

◇

ბიბლიოგრაფია

დოც. დავ. კარბელაშვილი. ენის ახალი მოძღვრების ძირითადი დებულებანი თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა 1936 წ.

ახალი ენათმეცნიერების იმ უდიდეს მიღწევებზე, რომელნაც მან ადამიანის მეტყველების ისტორიისა, და ბუნების შესწავლაში მოიპოვა — ქართულ ენაზე ლიტერატურა თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება. სამწუხაროდ, ქართულად ჯერ კიდევ არ გამოცემულა ახალი ენათმეცნიერების გენიალური შემოქმედის აკად. ნ. მარის ისტორიული მნიშვნელობის შრომები. თარგმნილია მხოლოდ ნ. მარის ორიოდე ბროშურა.

დოც. დავ. კარბელაშვილის ეს წიგნი ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს. ავტორი იძლევა მე-19 საუკუნეში ბურჟუაზიული ენათმეცნიერული აზრის განვითარების კრიტიკას და განსაზღვრავს ახალი ენათმეცნიერების ძირითად დებულებებს.

ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ ბურჟუაზიულ ენათმეცნიერება მეტყველებას სთიშავდა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკიდან. იგი სთიშავდა გენეტიკურად ურთიერთთან დაკავშირებულ ენებსაც და მათ შორის იზოლაციის მაგარ კედელს, აგებდა. ბურჟუაზიული ენათმეცნიერება, ან როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, ინდოევროპეისტიკა, დედამიწის ზურგზე არსებულ ენებს ჰყოფდა „ოჯახებად". ინდოევროპული „ოჯახის" „პრეენად" მიჩნეული იყო „კეთილშობილური" „არიული" ენა, „კეთილშობილური რასის" მეტყველება. ამ ენას ბურჟუაზიული ენათმეცნიერნი უაღრესად განვითარებულად სთვლიდნენ, ხოლო დანარჩენ ცოცხალ ენებს, რომლებზედაც ხალხი ლაპარაკობს, „არაკეთილშობილურად" და „გადაგვარებულად". როგორც ცნობილია, ასეთ შეხედულებას დღეს ჰქადაგებს კაცობრიობის კულტურისა და ხალხის მტერი — გერმანიის საზიზღარი ფაშიზმი, ჰიტლერი და მისი ქოფაკები.

ავტორი მოკლედ განიხილავს ინდოევროპეისტიკის ისტორიას, გზას, რომელიც გაიარა მან თავისი მეთაურ ფრანც ბოპიდან (1816 წლიდან მოკიდებული) თანამედროვე ფრანგულ „სოციოლოგიურ" სკოლამდე (მეიე, დე-სოსიურა და სხვ.), და იძლევა ინდოევროპეისტიკის სქოლასტიკური მეთოდის სამართლიან კრიტიკას.

ახალი ენათმეცნიერება საფუძველშივე ეწინააღმდეგება ინდოევროპეისტიკას, როგორც ავტორი შენიშნავს, იგი, მართალია, ჩაისახა ინდოევროპული ენათმეცნიერების გარემოში, მაგრამ მის ჩარჩოებში ვერ დაეტია. ნ. მარი სამართლიანად ამბობს, „იაფეტიდოლოგია არ გამოფრენილა ზევსის თავიდანო". იაფეტიდოლოგია, როგორც ახალი, ძირითადად მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე აგებული ენათმეცნიერება, არკვევს მეტყველების უაღრესად რთულ და მრავალმხრივ ბუნებას, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ გზებს.

ავტორი განიხილავს ახალი ენათმეცნიერების ისეთ უაღრესად საინტერესო თეორიულ პრობლემებს, როგორიცაა არის: 1. ენა — იდეოლოგიური ზედნაშენია; 2. თვითეული ენა ერთიანი გლოტოგონიური (ენის შემოქმედების) პროცესის სრულუფლებიანი მონაწილეა; 3. ხელის ენა თავდაპირველი საშუალებაა ურთიერთობისა და ხმიერი მეტყველება მისი დიალექტიკური განვითარებაა; 4. ხმიერი მეტყველება თავდაპირველად მისნური ხასიათისა იყო და პირველყოფილი კოლექტივის შრომა მასნურ პროცესში გამოიყენებოდა; 5. შეჯვარედინება უძლიერესი ფაქტორია ხმიერი ენის გამოყენებისა; 6. თავდაპირველი ენები მარტივი არიან და მეურნეობისა და საერთოდ ბაზისის გართულებასთან ერთად გადადიან რთულ მდგომარეობაში; 7. ენა და აზროვნება ისტორიული კატეგორიებაა და განუყოფელი ნაწილებია ერთმანეთისა; 8. სიტყვათშემოქმედება ვითარდება სტადიების მიხედვით და საგანი თავის სახელს მოიპოვებს საზოგადოებრივ-სამეურნეო პრაქტიკაში ამა თუ იმ ფუნქციის შესრულების მიხედვით; 9. ენა და აზროვნება ვითარდებიან წინააღმდეგობათა ერთიანობის საფუძველზე; 10 ერთიანი ნაციონალური ენა ფიქციაა და კლასობრივ საზოგადოებაში ენა კლასობრივი ბრძოლის სამედო იარაღია; 11. ენის განვითარების პროცესი არის პროცესი მიმდინარე ენათა მრავლობიდან — ენათა ერთობისაკენ მიმავალ უკლასო საზოგადოებაში.

ავტორი ამ შრომაში ეხება იაფეტიდოლოგიის მარტოოდენ ძირითად თეორიულ დებულებებს და, სამწუხაროდ, არ ჩერდება იაფეტიდოლოგიის იმ წარმატებებზე, რომლებიც მან მოიპოვა ცალკეული ენების გაღრმავებული კვლევის შედეგად.

ავტორი კონსპექტურად განიხილავს ახალი ენათმეცნიერების პალეონტოლოგიურ მეთოდს. წიგნი ბევრს მოიგებდა, რომ ავტორს ენობრივი მოვლენების პალეონტოლოგიური ანალიზი ეჩვენებინა უფრო მეტი კონკრეტული მასალით.

დოც. დავ. კარბელაშვილის წიგნი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს და ყველა მას, ვისაც სურს შეისწავლოს ახალი ენათმეცნიერება.

ალ. ღლონტი.



საკავშირო პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლი მწვანე კონცხზე (აჭარა). ხედი ბოტანიკური ბაღიდან.
ფოტო სტოლიაროვისა
(„სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საფერმენტაციო ფაბრიკა ამუშავების წინ

წელიწადზე მეტია, რაც თბილისში (ნავთლუღში) აშენებენ ახალ საფერმენტაციო ფაბრიკას, რომელიც თავისი ძლიერებით და ტექნიკური სიახლის მიხედვით ერთერთი უდიდესი საფერმენტაციო ფაბრიკათაგანია მთელს კავშირში. თბილისის საფერმენტაციო ფაბრიკას შეუძლიან მოგვცეს ყოველწლიურად 3.000 ტონა ფერმენტირებული თამბაქოს ფურცელი.

საფაბრიკო კორპუსების აგება და დადგმულობათა მონტაჟი 1936 წლის ბოლოს დასრულდა. ახლა დაწყებულია ფაბრიკაში მოწყობილი საფერმენტაციო კამერების საცდელი ექსპლოატაცია. ამ კამერებს შორის (სულ 7 კამერაა) არის ისეთები, სადაც დაცული იქნება მუდმივი ხელოვნური სიცივე, რაც საჭიროა მაღალხარისხოვანი ფერმენტირებული თამბაქოს მისაღებად.

კამერების გამოცდა დამთავრდება მაისში, ხოლო შემდეგ ფაბრიკა გადაეცემა მთავრობის კომისიას. წელს ფაბრიკის მახლობლად შენდება ბაღი, აგებენ მუშათა საერთო საცხოვრებელ სახლს და გარაჟს. ფაბრიკის აგება და მოწყობა 2.788.000 მანეთად დაჯდა.

◇

ფეხბურთი

„დინამო" (თბილისი)—ბელორუსიის სამხედრო ოლქი 5:0.

6 აპრილს „დინამოს" ოსტატებმა თამაშეს ბელორუსიის სამხედრო ოლქის გუნდთან.

თბილისელები საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ, მათ უკვე პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა ძალების მთელი დაჭიმვით არ იბრძოდნენ. დასაწყისს ასლამაზოვმა შეაგდო ერთი ბურთი, რომელსაც მ. ბერძენიშვილმა (პენალტი) კიდევ ერთი მოუმატა.

მეორე ტაიმში დინამოელები ცოტა უფრო დაძაბულად თამაშობდნენ. მ. ბერძენიშვილმა შეაგდო გავაშელის მიერ მიწოდებული ბურთი, შემდეგ პაიჭაძემ გაარღვია მცველთა რიგები და მეოთხედ აღო ბელორუსიის კარი, მერე ისევ მ. ბერძენიშვილმა გამოიყენა პირდაპირი პასი, მოუარა მეკარესაც კი და ცარიელ კარში შეაგორა მეხუთე ბურთი. ბოლოს პაიჭაძემ შეაგდო მაღალი ბურთი, მაგრამ მსაჯმა იგი შეცდომით არ ჩასთვალა. თამაში 5:0 დამთავრდა.

თბილისელები სუსტ მოწინააღმდეგესთან „ასპროცენტიანად" არ თამაშობდნენ, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. წვიმის მიუხედავად, სტადიონზე ბევრი მაყურებელი იყო. სჯიდა ლარიონოვი.

დ. შ.

უცხო ენების სწავლება

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებული კადრების მოსამზადებლად.

უკანასკნელ დრომდე განსახკომი ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა. არ გვქონდა რიგიანად დამუშავებული სახელმძღვანელოები, ბაზარზე გამოსული წიგნები ვერ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებას.

განსახკომის უკანასკნელი დადგენილებით საშუალო სკოლების სამმართველოსთან ჩამოყალიბებულია კომისია, რომელსაც ევალება უცხო ენების არსებულ სახელმძღვანელოთა გადასინჯვა და მათ შორის საუკეთესოთა გამოსაცემად მომზადება.

განზრახულია გამოიცეს ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული და გერმანულ-ქართული ლექსიკონები. ამ სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობა და ლექსიკონების მომზადება დასაბეჭდად დაკისრებული აქვს პროფ. გ. ახვლედიანს.

ქუთაისისა და სოხუმის პედინსტიტუტებთან მომავალი სასწავლო წლიდან მოეწყობა უცხო ენათა განყოფილებები, სადაც მიიღებენ 50 კაცს თვითეულზე. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის უცხო ენათა განყოფილებაზე მისაღებთა კონტიგენტი გადიდებულია 120 კაცით.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის უცხო ენების განყოფილებაზე მიიღებენ 120 კაცს, ა. ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის უცხო ენების განყოფილებაზე (ინგლისური, ფრანგული და გერმანული სექტორები)—180-ს.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს დავალებული აქვს გადაამზადოს უცხო ენების 200 მასწავლებელი.

◇ ◇ ◇

წინასადღესასწაულო ბაზრობები

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს, საპირველმაისო დღესასწაულებთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში მოაწყოს წინასადღესასწაულო და სადღესასწაულო ბაზრობები. ბაზრობათა დაწყების ვადად დანიშნულია 20 აპრილი, ხოლო დამთავრებისა — 3 მაისი.

წინასადღესასწაულო და სადღესასწაულო ბაზრობები უნდა მოეწყოს: თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ჯუღელში, ჭიათურაში, ახალციხეში, ზუგდიდსა და სიღნაღში.

ბაზრობაზე სამრეწველო საქონლის გამოსატანად ემზადებიან კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები.

თბილისში წინასადღესასწაულო და სადღესასწაულო ბაზრობა გაიმართება ახალი დახურულ, საბურთალოს, ნავთლუღის, დესიმონოვის და ავჭალის ბაზრებზე.



მოსკოვის წითელდროშოვანი ფაბრიკის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" მუშაქალები საშეფო ცხენოსან ათასეულში სწავლობენ ცხენოსნობას.
ფოტო „სოიუზფოტოსი"

იაკობ ზაკისა და როზა ტამარკინას კონცერტები თბილისში

აპრილის დამლევს თბილისში, საქფილგეთის მოწვევით, ჩამოდიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი გ. ნეიგაუზი და პიანისტთა ვარშავის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები იაკობ ზაკი და როზა ტამარკინა.

ისინი თბილისში რამდენიმე კონცერტს გამართავენ. (საქდესი).

◇

ახალი ამბები

○ „საქთევზტრესტმა" მოახდინა ფსირცხის დელფინის ქარხნის (აფხაზეთი) ლიკვიდაცია. საქარხნო ნაგებობანი უსასყიდლოდ გადაეცა აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს, ხოლო მოწყობილობა გადააქვთ ახალ ადგილზე ქარხნის მოსაწყობად.

○ ახალი სანაპირო ქუჩის გაყვანასთან დაკავშირებით (მეტეხის ხიდიდან ორთაჭალისკენ) დაწყებულია მუშაობა მტკვრის მარცხენა (კლდოვანი) ნაპირის კეთილმოწყობის გეგმის შესადგენად.

○ ბორჯომში შეუდგნენ ავადმყოფთა მკურნალობას კუმისის სამკურნალო ტალახით. კუმისის ტალახი როგორც ირკვევა, მაღალი სამკურნალო თვისებისაა.

○ ხალხური ხელოვნების ნიმუშთა გამოფენისათვის რესპუბლიკის რაიონებიდან ახალ-ახალი ექსპონატები ჩამოაქვთ. გამოფენის გახსნა განზრახულია მაისში.

◇

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ფედერაციამ" ცალკე წიგნებად გამოსცა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი" და „გლახის ნაამბობი".

ამავე გამომცემლობის გამოცემით გამოვიდა ნ. გოგოლის „ტარას ბულბა", თარგმანი ივ. ახალშენიშვილისა, ტარას შევჩენკოს „კავკასი", თარგმანი ნიკოლო მიწიშვილისა და სიმონ ქვარიანის ისტორიული რომანი „დიდი მოურავი".

○

უკანასკნელ დროს რუსეთის სახელგამმა გამოსცა მთელი რიგი ქართველი პოეტების ლექსების წიგნები. ამ დღეებში გამოვიდა კარლო კალაძის ლექსების თარგმანები. წიგნში შეტანილია კ. კალაძის საუკეთესო ლექსები. თარგმანები ეკუთვნით ცნობილ რუს პოეტებს ა. ანტოკოლსკის, ს. სპასკის, ბ. პასტერნაკს, ვლ. დერჟავინს. წიგნი კარგად არის გაფორმებული.

◇

კრებები

— დღეს, საღამოს 8 ს. მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. 13) შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კრიტიკოსთა სექციის კრება. დღის წესრიგში დგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. კრიტიკოსთა დასწრება სავალდებულოა.

— განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 8 ს. შესდგება ვარ. ხუროძის მოხსენების გაგრძელება თემაზე: „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები".

◇

შემთხვევები

დაჭრა. 5 აპრილს, ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე ატეხილი ჩხუბის დროს, მ. ი. ჯორჯიშვილმა (მელიქიშვილის ქ. 49) ჯოხით თავი გაუტეხა თავის ნათესავს დ. მჭედლიძეს (მცხოვრებს იმავე სახლში). დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. ჯორჯიშვილი დააპატიმრეს.

ავტომანქანის გატაცება. 5 აპრილს საღამოს საბარგო ავტომანქანის შოფერმა ვ. ფ. კუმნელოვმა უმეთვალყუროდ დასტოვა „საქთამბაქნედლეულის" საბარგო ავტომობილი № 65-83 ბენზინის ბაკის მახლობლად 26 კომისრის რაიონში. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ისარგებლეს ამით და გაიტაცეს მანქანა, რომელიც შემდეგ ნავთლუღში დაკავა საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა ამხ. ფილიაშვილმა. მანქანის დაკავებისას ბოროტმოქმედებმა მიმალვა მოასწრეს. მანქანის შემოწმებისას მის ძარაში აღმოჩნდა ფეხებშეკრული ცოცხალი ძროხა და ცხვარი. როგორც გამოირკვა, პირუტყვი მოეპარათ მოქ. ე. პ. ხარიტონოვს ნავთლუღში (რკინიგზელთა სახლში). მოპარული ძროხა და ცხვარი პატრონს დაუბრუნეს. მიმალულ ბოროტმოქმედთა მოსაძებნად მიღებულია ზომები.

ხელოვნება

ჭიათურის მუშათა თეატრში

ჭიათურის თეატრმა [illegible] პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით [illegible] პრემიერად დასდგა ახალგაზრდა დრამატურგის კ. ბუაჩიძის კომედია „სიძე". პიესის თემაა — შრომა ჩვენს ქვეყანაში საგმირო და სასახელო საქმეა.

პიესა დასდგა ახალგაზრდა რეჟისორმა ს. ცომაიამ, მხატ. — ა. ჟორდანია, კომპ. — რ. ღოღნიაშვილი.

რუსეთის დიდი პოეტის ა. ს. პუშკინის დაღუპვის 100 წლისთავი თეატრმა აღნიშნა დიდი მხატვრული საღამოს მოწყობით. ა. პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფ. ს. დანელიამ. დაიდგა ა. პუშკინის „ბოშები", მსახიობებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები, ადგილობრივი დამწყები მწერლები გამოვიდნენ პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსებით. სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე ნომერი პუშკინის მიხედვით დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან.

საღამომ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე. პროგრამა გადატანილ იქნა მაღაროებთან არსებულ კლუბებში.

გ. დურმიშიძე

◇

ექსპონატები ხალხური შემოქმედებისა და მუსიკალურ ინსტრუმენტთა საკავშირო გამოფენებისათვის

დიდი პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში, სხვა გამოფენებს შორის, გაიხსნება ორი სრულიად-საკავშირო გამოფენა, რომლებსაც აწყობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი. ხალხური შემოქმედების სრულიად-საკავშირო სახლი. პირველი გამოფენა გაიხსნება 1 სექტემბერს. ეს გამოფენა მიეძღვნება თვითნასწავლ-არაპროფესიონალ მხატვართა და ოსტატთა ხალხურ შემოქმედებას (ფერწერას, ქანდაკებას, ქარგვას, ამოჭრას, ხალიჩების ქსოვას და სხვ.). ასეთი გამოფენა საბჭოთა კავშირში პირველად ეწყობა.

ანალოგიური გამოფენა აპრილში გაიხსნება თბილისშიც.

ბათუმსა და სოხუმში ასეთი გამოფენები უკვე გაიხსნა. აღნიშნულ გამოფენათა საუკეთესო ექსპონატები გადარჩეულ იქნება სრულიად-საკავშირო გამოფენისათვის.

ოქტომბერში მოსკოვში გაიხსნება ხალხურ-მუსიკალურ ინსტრუმენტთა პირველი სრულიად-საკავშირო გამოფენა.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან გამოწვეულ იქნებიან შემსრულებლები გამოფენაზე ამ ინსტრუმენტების დაკვრის დემონსტრაციისათვის.

გამოფენის დახურვის შემდეგ განზრახულია მოეწყოს ხალხურ-მუსიკალურ ინსტრუმენტთა მუდმივი მუზეუმი.

საქართველოში ხალხური ინსტრუმენტების შესაგროვებლად ჩამოვიდა ხალხური შემოქმედების სრულიად-საკავშირო სახლის ინსპექტორი ამხ. დ. ი. დავიდოვიჩი.

აფხაზეთში ამხ. დავიდოვიჩმა გამოფენაზე დემონსტრაციისათვის შეარჩია ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი „აპრირცა", რეკონსტრუირებული ეთნოგრაფ კომპოზიტორ კოვაჩის მიერ, აგრეთვე „ავიუმა" — აფხაზური რვასიმიანი ჩანგი. ეს არის „ავიუმის" ერთად-ერთი ცალი, რომელსაც დღემდე მოუღწევია. გამორკვეულია, რომ „ავიუმს" 300 წლის წინათ ხმარობდნენ.

საქართველოს რაიონებში შერჩეულია საუკეთესო ოსტატთა მიერ დამზადებული ჩონგურის მდიდარი კოლექცია. გრძელდება ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების შეგროვება საქართველოში (საქდესი).

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 8 აპრილს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მემარჯვენე კონტრრევოლუციონერების — ბუხარინისა და რიკოვის გამცემლობისა და ღალატის გზა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება ამხ. სულეიმანის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ" (რუსულ ენაზე) პარტკომების მდივნებისა, პარტორგებისა და პროპაგანდისტებისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
8-IV ტოსკა
9-IV ევგენი ონეგინი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი
8-IV ალკაზარ
9-IV ალკაზარ
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
8-IV რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე
9-IV წარ. № 141 იცკა რიქინაშვილი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში
ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11
დამკვრელი 6, 7-40, 9-20, 11
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30
რ. ლუქსემბ. 6, 7-40, 9-20, 11
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30
ახალი ამბები.
ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი ფრთოსანი მლებარი
სცენარი გ. მდივნისა და ლ. ესაკიასი
რეჟისორი ლეო ესაკია
ოპერატორი დ. კანდელაკი
ესპანეთის ამბები ძვ-16 გამოშვ. ხმოვანი ჟურნალები №№ 12 და 15.

სახცირკი ტელ. 3-11-44
12 აპრილს წარმოდგენა დღისით განახლებული პროგრამით სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან

დღეს, 8 აპრილს, განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა აგრეთვე ფრანგული პროფს. ჭიდაობის მე-39 დღე
ჭიდაობს 3 წყვილი
1. ნ. ვერდენი—პუმპაროვი
2. გადამწყვეტი შეხვედრა
3. გოგოლაძე—გ. ბურეგოვი
3. გ. გაბალიკაშვილი—შახნაზაროვი
წარმოდგ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა—10 ს. 30 წ.

„კომუნისტის" რედაქციას
ესაჭიროება
გამოცდილი კორექტორები
პირობების გაგება „კომუნისტის" რედაქციის სამდივნოში.

მარჯანიშვილის თეატრი 1937 წ. აპრილის 8-ს
რესპუბლიკის სახალხო არტისტის
ელისაბედ ჩერქეზიშვილის
50 წლის სასცენო მოღვაწეობის
იუბილე
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მუდმივი ბილეთები ძალაში არ არის. სადელეგატო ბარათების მიღება სწარმოებს თეატრის ადმინისტრატორთან 8 აპრილს დილის 11 ს.—4 საათამდე სათანადო საბუთის წარმოდგენით. 85

ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის დამზადება-მომარაგების
ავეჯის საწყობი და მაღაზია
თბილისი, ჩელუსკინელების ქ., № 19, თამბაქოს ქარხნის პირდაპირ.
იყიდება საკუთარი წარმოების საუკეთესო ხარისხის სხვადასხვა ავეჯი:
ბუფეტები, შიფონერკები, მაგიდები სასადილო და საწერი, ტუალეტები,
სკამები ვენური და სხვ., სარკეები.
მიღებულია ბილიარდები 101—60 კაპ-დან 295 მანეთამდე.
დიდი ბილიარდი სპილოს ძვლის ბურთებით, გამაკები და სხვ.
საქონელი იყიდება
ზითუმად და საცალო
ვაჭრობით.
2—1 1531

საქართველოს საბინაო მეურნეობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს შინამოსამსახურეების ყველა დამქირავებელთა საყურადღებოდ, რომ დამქირავებელნი ვალდებული არიან შინამოსამსახურის დაქირავება გააფორმონ პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტში სათანადო შრომითი ხელშეკრულების დადების საშუალებით და ყოველთვიურად იხადონ სოცდაზღვევის შენატანები შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ვინც იღებს ხელფასს	100 მანეთამდე,	იხდის თვეში	1 მან.
„ 101—დან	300—მანეთამდე	„ „	3 მან.
„ 300 „	500	„ „	4 მან.
„	500 მან. ზევით	„ „	6 მან.

არაშრომითი შემოსავლით მცხოვრები იხდის 15 მან. ხელშეკრულების დადება და შინამოსამსახურის დაზღვევა სწარმოებს ქალ. თბილისში.

იმ პირთა, რომლებიც ცხოვრობენ ლენინის და სტალინის რაიონებში—პლეხანოვის პროსპ., № 52

იმ პირთა, რომლებიც ცხოვრობენ 26 კომუნარის და კიროვის რაიონებში—მუხრანის ქ. № 4.

ორჯონიკიძის რაიონში მცხოვრებთათვის—რუსთაველის პროსპ. № 39.

ქალ. ბათუმში—დიბსნეხტის ქუჩა, № 21.
ქალ. სოხუმში—შრომის სასახლე.
ქალ. ქუთაისში—ქალ. საბჭოს კომუნალური განყოფილება.
ქალ. ფოთში—რაიპროფსაბჭოს შენობა.
ქალ. თელავში „ „
ქალ. ახალციხეში „ „

დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში—ქალაქის წარმოების პროფკავშირის ადგილკომებში.

დაზღვეულ უნდა იქნან ყველა შინა-მოსამსახურენი, როგორც დამქირავებელთან მცხოვრებნი, ისე მიმსვლელნი.

შინა-მოსამსახურის თავის დროზე დაუზღვევლობა გამოიწვევს პასუხისგებაში მიცემას სისხლის სამართლის (მდგომარეობის მიხედვით) ან ადმინისტრაციული წესით (ჯარიმა 100 მანეთამდე), სოც. დაზღვევის კუთვნილ თანხების უდავო იძულებითი წესით გადახდევინებით (სსრკ ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 23/8—31 წ. დადგენილება—კანონ. კრებული, № 54).

სოცდაზღვევის შენატანების თავის დროზე გადაუხდელობის შემთხვევაში დაერიცხება საურავი 0,1 % ვადას გადაცილებულ თვითეულ დღეში.

სოცდაზღვევის შენატანების გადახდა სწარმოებს სპეციალური მარკების შეძენის საშუალებით საბინაო მეურნეობის პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებში.

საქართველოს საბინაო მეურნეობის მუშათა პროფკავშირის
ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ლ. დეკანოსიძე.
საქ. საბინაო მეურნეობის მუშ. პროფკავშირის შრომის
98 ინსპექტორი ა. მირზოევი.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8288